# საარბიტრო

სპორტული გაზეთი შაბათი 8 სექტემბერი 2007 №207 (3130) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფრანგეთი არ-გენ-ტი-ნამ დაიწყო!

## თურმე ყველაფერი ხდება, როცა სამშობლო გიყვარს



AFP

— ჩვენ არ გვნყალობენ ზევით, მაგრამ ჩვენ გვიყვარს რაგბი და ჩვენი ქვეყანა. ბრძოლითა და უტეხობით ჯგუფიდანაც გავალთ და ნახევარფინალშიც ვითამაშებთ, თუნდაც ამ ჯგუფს სიკვდილისა ერქვას — ეს სიტყვები არგენტინელი „პუმების“ მწვრთნელმა მარსელო ლოფრედამ მსოფლიოს თასის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე თქვა. მსოფლიოს თასი კი საფრანგეთ — არგენტინის ჯახით და ნაღდი სენსაციით დაიწყო. ტურნირის მასპინძელსა და თასის უმთავრეს ფავორიტს არგენტინამ მეორე შემადგენლობა გაუყვანა და „მეორადი პუმებითაც“ 17:12 გადაუქლაპა რჩეული „მამლები“. რაგბიში კი, ვისაც ამ თამაშისა გაეგება, იცის, რომ სენსაცია არ ხდება. სენსაცია კი მოხდა, რაკილა სენსაციის მომხდენთა მწვრთნელმა თავისი ბიჭები უტეხობაში დააჯერა.

გუშინაც ვამბობდით: რაგბიში არაფერი ქრება, იქ ყველაფერი ფასდება, იქ ადამიანები ჩანან...

# ტოპმიოლერი დარწმუნებულია



# ოლეგ ბლოხინი: ჩივაძე დიდი იყო, საქართველო გაუგებარია




უკრაინელებმა საღამოს შვიდ საათზე „ეროვნულზე" ივარჯიშეს, ამას სულ 15 წუთი გვაყურებინეს და მერე ვარჯიში დაიხურა. მინდორზე გასვლამდე კი ოლეგ ბლოხინის პრესკონფერენცია იყო...

— რას იტყვით საქართველოსთან მატჩზე?

— ადვილი თამაში არ იქნება. მართალია, ჩემი გუნდი თითქმის ოპტიმალურადაა მომზადებული და არც ტრავმები გვაწუხებს, მაგრამ საქართველო მასპინძელია.

— საქართველოს ნაკრებზე როგორი წარმოდგენა გაქვთ?

— ჩემთვის გაუგებარია, რატომ ვერ აღწევს საქართველო შედეგს. თქვენი ნაკრები შემადგენლობით უკრაინას, სულ მცირე, არ ჩამორჩება. მე არ ვიცნობ საქართველოს ნაკრების შიდა სამზარეულოს, ეტყობა, წარუმატებლობის მიზეზი რაღაც სხვაა, თორემ ვინმე იტყვის, რომ კახა კალაძე და შოთა არველაძე მსოფლიო დონის ფეხბურთელები არ არიან?!

— ფეხბურთელობისას თბილისის „დინამოსთან" ჩატარებულ მატჩებზე რას გაიხსენებთ?

— „დინამო" რომ ძლიერი გუნდი იყო, თქმა რად უნდა. განსაკუთრებით შინ თამაშობდნენ კარგად. ცხადია, მიჭირდა თბილისელებთან თამაში — ალექსანდრე ჩივაძე დიდი მცველი იყო, უხეშად არ მეთამაშებოდა.

— ანდრეი შევჩენკო მზად იქნება სათამაშოდ?

— ეს ხვალ გამოჩნდება, წინასწარ ვერ გეტყვით...

უკრაინელებს ერთი დანაკლისი მაინც აქვთ: ანდრეი ნესმაჩნის ტრავმა აწუხებს და, სავარაუდოდ, მის ნაცვლად ალექსანდრ შევჩუკი ითამაშებს, თუმც ის ნესმაჩნის სრულფასოვანი შემცვლელი არაა, ამბობენ უკრაინელები.

ბლოხინის ძირითადი თერთმეტეული, წესით, ასეთი უნდა იყოს: კარში — შოვკოვსკი; დაცვაში — მარჯვნიდან მარცხნივ — ეზერსკი, რუსოლი, კუჩერი, შევჩუკი; ნახევარდაცვის ცენტრში — ნაზარენკო და ტიმოშჩუკი, ფლანგებზე — მარჯვნივ გუსევი, მარცხნივ როტანი, თავდასხმაში — ვორონინი და შევჩენკო.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ტოპმიოლერმა მობილიზაცია და მოგება გამოაცხადა



20 საათზე ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრებიც მივიდა, ჩვენების ვარჯიში საათნახევარი გაგრძელდა, მაგრამ სანამ ამას მოვყვებით, კლაუს ტოპმიოლერის ვარჯიშამდელ პრესკონფერენციაზე ვთქვათ...

— ჩემი აზრით, ამ შესარჩევ ციკლში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი სწორედ უკრაინასთან ჩავატარეთ. ვიცი, რომ ოლეგ ბლოხინმა ოპტიმალური შემადგენლობა ჩამოიყვანა — ჩვენი გუნდი საკმაოდ მობილიზებულია და დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ზაალ ელიავა გამოგვაკლდა, ილია კანდელაკი კი მიკროტრავმის გამო სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა. რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, მისი თამაშის საკითხი დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ გაირკვევა.

— საქართველოს ჩემპიონატიდან რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოიძახეთ — ეს იმიტომ, რომ ციკლი მაინც წაგებულია და მომავალი შესარჩევისთვის ემზადებით?

— ახლა არ მინდა გავამჟღავნო მატჩის ტაქტიკური მონახაზი, რადგან ეს არც ჩემმა უკრაინელმა კოლეგამ გააკეთა. მინდა ვთქვა, რომ ახალბედები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ვარჯიშზე და მათზეა დამოკიდებული, როგორი მომავალი ექნებათ ნაკრებში. მათი გამოძახება ერთჯერადი არაა. შარშან ამ დროს ჯაბა კანკავა, ოთარ მარცვალაძე და მათე ღვინიანიძე 21-წლამდელთა ნაკრებში იყვნენ, მაგრამ დღეს უკვე ეროვნულში არიან.

— ნაკრებში ბევრი ისეთი ფეხბურთელი გყავთ, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკაც არ აქვთ თავიანთ კლუბებში...

— მაგალითად ლევან ცქიტიშვილს მოვიყვან, რომელიც უგუნდოდ კია, მაგრამ მინდორზე ეს არ ეტყობა და ბოლომდე იბრძვის. ბოლო დროს არც ანდრეი შევჩენკოს აქვს სათამაშო პრაქტიკა „ჩელსიში", მაგრამ ის ხომ უკრაინელთა ლიდერია.

— ოფიციალურ მატჩებში საქართველოს ნაკრების კარში თითქმის ყველა გოლი დაცვის შეცდომით გადის. თუ მოახერხეთ დაცვის დალაგება-დაბალანსება?

— ახლა ძლივს მომეცა შანსი, დაცვის ცენტრში კახა კალაძე-მალხაზ ასათიანის წყვილი ვათამაშო — ეს ოპტიმალური ვარიანტია. აქამდე ისე ხდებოდა, ხან კალაძე არ გვყავდა, ხან ასათიანი...

ქართველთა ვარჯიში დატვირთული იყო, ტოპმიოლერმა გუნდს ორკარაც ათამაშა და ერთ მხარეს ის შემადგენლობა დააყენა, რომელიც, სავარაუდოდ, დღეს ძირითადში იქნება.

ისე, მთლად იდეალური ვერ გვეჩვენა ეს შემადგენლობა, თუმც ფაქტი ფაქტია: რევიშვილი — ღვინიანიძე, ასათიანი, კალაძე, სალუქვაძე — მენთეშაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი — მარცვალაძე, იაშვილი, დემეტრაძე.

**ილია ნანობაშვილი**

# ოქტომბერში გაიგებთ

**საქართველოს** ნაკრებს მძლავრი გენერალური სპონსორი ეყოლება.

გუშინ ეროვნულ სტადიონზე კლაუს ტოპმიოლერის პრესკონფერენციის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გვამცნო, ნაკრებს ახალი გენერალური სპონსორი ეყოლება, თანაც ისეთი შეძლებული, აქამდე რომ არ ჰყოლიაო.

„მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, ეს ნამდვილად სასიხარულო ცნობაა და ოქტომბერში, შოტლანდიასთან საშინაო მატჩის წინ ყველაფერს დეტალურად გაცნობებთ" — თქვა ახალკაცმა.

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპშანსი მაღალი, ქერა თავდამსხმელისთვის

საქართველოს ნაკრების დებიუტანტი დიმიტრი ტატანაშვილი ერთი იმ იშვიათთაგანია, ვინც კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნული ჩემპიონატიდან მიიწვია. „ამერის" ფორვარდი ბოლო ხანს მართლაც ერთ-ერთი გამორჩეულია ჩვენს ჩემპიონატში და აკი ეს ნაკრების გერმანელმა მწვრთნელებმაც შეამჩნიეს. ტატანაშვილმა ახალდაწყებული სეზონის ოთხ ტურში უკვე ორი გოლიც გაიტანა და ახლა სანაკრებოდ იკრებს ძალებს — 23 წლის ტანმაღალ თავდამსხმელს დღეს, შესაძლოა, დებიუტი ჰქონდეს...

— დიმა, როგორია ეროვნული ნაკრები?

— ძალიან კარგი. ეს ხომ ყველა ფეხბურთელის ოცნებაა... ძალიან მიხარია, რომ დღეს საქართველოს ნაკრებში ვარ.

— როგორ მიგიღეს თანაგუნდელებმა?

— ყველაფერი კარგადაა. არანაირი პრობლემა არ შემქმნია. პირიქით, ყველამ თბილად მიმიღო და გვერდში დამიდგა.

— ტოპმიოლერმა რა გითხრა?

— ყველა დებიუტანტს დაგველაპარაკა და გვითხრა, შანსი გეძლევათ და გამოიყენეთო.

— და, შესაძლოა, ეს შანსი უკრაინასთან მატჩი იყოს?

— არ ვიცი, შესაძლოა, ასეც იყოს. ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია.

— შენ თუ ხარ მზად?

— მზად ვარ და ეს შანსი თუ მომეცა, ყველანაირად ვეცდები, ხელიდან არ გავუშვა.

— ნაკრები შიგნიდანაც ისეთი გამოდგა, როგორსაც გარედან ხედავდი?

— ყოველ შემთხვევაში, რთული არაფერი დამხვედრია. გუნდში კარგი ატმოსფეროა და ახლა ყველანი უკრაინასთან თამაშზე ვფიქრობთ.

— დღემდე ისე მოდიხარ, რომ აქამდე არც ეროვნულ და არც ასაკობრივ ნაკრებებში არასოდეს მიუწვევიხართ...

— ადრე ხშირი ტრავმები მქონდა და ვფიქრობ, ასაკობრივ ნაკრებებშიც ამიტომ ვერ შევძელი თამაში.

— მაგ ტრავმების თუ ავადმყოფობის გამო მოსამზადებელი შეკრებებიც გიცდებოდა...

— მართალია. შეკრებებიც ხშირად მიცდებოდა და თითქმის სულ მოუმზადებელი ვიყავი. საბედნიეროდ, ეს უიღბლობა მოვიშორე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ.

— აქვე „ამერზეც" გკითხავ: რატომ დაიწყო გუნდმა სეზონი ასე მძიმედ?

— ზუსტი მიზეზის თქმა ძნელია. მართალია, თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მდგომარეობას მალე გამოვასწორებთ.

— და ერთიც: ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში მოხვედრა ასე რთული უნდა იყოს?

— ყოველ შემთხვევაში, შანსი უნდა გვეძლეოდეს და დანარჩენი უკვე თავად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ზოგი გამოიყენებს ამ შანსს, ზოგიც — ვერა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ჩაიცვით თეთრი და წითელი!

**დღეს** საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს.

გულშემატკივრებო, ჩავიცვათ თეთრი და წითელი მაისურები და მხურვალედ ვუქომაგოთ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ თამაშის დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრების („დიადორას") მაისურები, შორტები და გეტრები გაიყიდება. მაისურა (წითელი, თეთრი) — 100 ლარი; მაისურა (გრძელმკლავიანი: წითელი, თეთრი) — 110 ლარი; შორტი (წითელი, თეთრი) — 50 ლარი; გეტრები (წითელი, თეთრი) — 20 ლარი;

# ვის გინდათ ნობელის პრემია?

## ილია კანდელაკი: ლიხტენშტაინთანაც სიამოვნებით ვითამაშებ

ილია კანდელაკი საქართველოს ნაკრებში დაბრუნდა. ოდესის „ჩერნომორეცში“ მას ახალი წლიდან ზაფხულამდე თითქმის არ უთამაშია, „კარლ ცაისში“ კი მუდმივად ძირითადშია და, სავარაუდოდ, დღეს უკრაინასთანაც პირველივე წუთიდან ითამაშებს. უკრაინულმა ვებგვერდმა ილიას საკმაოდ მოზრდილი ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ...

**— შარშან კლაუს ტოპმიოლერი თითქმის მუდმივად გიძახებდათ ნაკრებში, წლეულს კი პირველად მიგიწვიათ...**

— მიზეზი ალბათ ისაა, რომ „ჩერნომორეცში“ თამაში არ მიწევდა, თუმც ეს მხოლოდ ჩემი აზრია: ბოლო ნახევარ წელიწადში ტოპმიოლერთან არანაირი კონტაქტი არ მქონია.

**— ორიოდ სიტყვით დაახასიათეთ საქართველოს ნაკრები...**

— ძალიან კარგი გუნდია, რომელიც შედეგს ვერ აჩვენებს.

**— რატომ?**

— არ ვიცი. თუ ამაზე ვინმე უპასუხებს, ნობელის პრემია უნდა მიიღოს.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო კლაუს ტოპმიოლერის მიწვევით? გერმანულ დისციპლინას გრძნობთ მის ხელში?**

— სწორი იყო თუ არა, ეს ჩემი განსასჯელი არაა, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ტოპმიოლერი ძალიან კარგი ადამიანი და მწვრთნელია, ფეხბურთელებს თბილად და მეგობრულად ექცევა. მინდორზე კი ყველანი პროფესიონალები ვართ. რაც შეეხება დისციპლინას, ამას ნებისმიერი მწვრთნელი ამყარებს — გერმანელია თუ ქართველი, არ აქვს მნიშვნელობა.

**— ტოპმიოლერი რა ენაზე გელაპარაკებათ?**

— ჩვენთან თითქმის ყველამ იცის გერმანული.

**— საფრანგეთი, იტალია, უკრაინა — უძლიერეს ნაკრებებს შეხვდით. აქედან რომელ გუნდთან თამაშში დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— ამაზე არ მიფიქრია. ნაკრებში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვთამაშობ, თუნდაც ლიხტენშტაინს ვხვდებოდეთ.

**— უკრაინასთან მატჩში რას ელით?**

— იცით, მე უკრაინასაც ვქომაგობ და საქართველოსაც, მაგრამ როცა ისინი ერთმანეთს ხვდებიან, ჩემთვის მხოლოდ საქართველო არსებობს.

**— თქვენი აზრით, ამ ჯგუფიდან რომელი გუნდები გავლენ ფინალურ ეტაპზე?**

— პროგნოზს ვერ გავაკეთებ. მინდა, რომ უკრაინა გავიდეს. ოლეგ ბლოხინის გუნდს ძნელი თამაშები ელის, მაგრამ თუ მწვრთნელი ბიჭებს მაგრად დაქოქავს, ყველაფერი გამოუვათ.

**— „კარლ ცაისში“ თქვენს თამაშზე რას იტყვით?**

— მეორე ბუნდესლიგაში ვარ, მაგრამ ვგრძნობ ძალას, რომელიც უკეთეს დონეზე თამაშს შემაძლებინებს. სხვათა შორის, „კარლ ცაისსაც“ იგივე პრობლემა აქვს, როგორიც საქართველოს ნაკრებს: კარგად თამაშობს, შედეგს კი ვერ აჩვენებს. ბოლო ორ ტურში ორჯერვე უნდა მოგვეგო, მაგრამ ვერც ერთში ვერ ვიმარჯვეთ.

**— თქვენამდე „კარლ ცაისში“ გიორგი ლომაია და მიხეილ აშვეთია თამაშობდნენ. რატომ დატოვეს კლუბი?**

— არ ვიცი. ისე, სანამ „კარლ ცაისში“ გადავიდოდი, მათაც ვკითხე აზრი და კარგი რჩევა მომცეს, არ დაფიქრდე, ისე ჩამოდი გერმანიაშიო. არც ენანობ არჩევანს.



ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



# შე-იმოქმედეთ!

## ნუ აყივლებთ ციცარივით მწვრთნელს



რუსთავი. 7 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი. 2 500 მაყურებელი

### საქართველო 2:1 ყაზახეთი

1:0 გოცირიძე (17), 2:0 მერებაშვილი (43), 2:1 ნოსკოვი (90პ)

**საქართველო:** თევდორაძე, თომაშვილი, გ. კაშია, ფოფხაძე, ლობჟანიძე, ნავალოვსკი, გრიგალაშვილი (დაუშვილი 82), ხიდეშელი, კობახიძე (დვალიშვილი 90), გოცირიძე, მერებაშვილი (ელბაქიძე 86)
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, სანაია, ყენია, ბარაბაძე
**მწვრთნელი:** პეტარ სეგრტი

**ყაზახეთი:** დეხკანოვი, ბალტაევი, ტაიჯიბაიული, ვოროტნიკოვი, კისლიცინი, ჟუმაკხანოვი (ბოროვსკი 66), კუკეევი, ნოსკოვი, ლოგვინენკო, კენბაევი (შაბურინი 79), ალეინიკოვი (ჩურეევი 56)
სათადარიგონი: შაბანოვი, მუხტაროვი, საბალაკოვი, ხასენოვი
**მწვრთნელი:** იუჰა მალინენი

**გაფრთხილება:** ჟუმაკხანოვი (45), მერებაშვილი (78), ბოროვსკი (90)

**გაძევება:** ხიდეშელი (45)

**მიხეილ ჟორჟოლიანი** რუსთავიდან

პირველი ტაიმის ბოლოსკენ ყაზახთა კაპიტანმა სანატ ჟუმაკხანოვმა წაქცეული გიორგი ხიდეშელი ჩაწიხლა, წამომხტარმა ქართველმა კი საპასუხო მოუქნია და მცირე გაწევ-გამოწევაც ატყდა. დაშოშმინებული ფეხბურთელები მსაჯმა შაბა შაპმა მიიხმო, ყაზახი ყვითელ ბარათს დააჯერა, ქართველი კი გააძევა და საქართველოს ნაკრების ამ ციკლში პირველი გამარჯვება სათუო გახადა.

ცოტა ძნელია, გაამტყუნო ხიდეშელი, რომელსაც მანამდე იდაყვი უთავაზეს სახეში და წარბგახეთქილი და თავშეხვეული დარბოდა, შემდეგ კი წიხლიც მიაყოლეს. გასაკვირად უფრო ის დაგვრჩა, თუ გასაძევებელი იყო, პირველ ყოვლისა, შუაზიელი, რომელიც მსაჯმა რატომღაც დაინდო, ამ მომენტიდან 20 წამში კი ჟუმაკხანოვს მორიგი უხეშობა მხოლოდ ჩვეულებრივ ჯარიმად დაუჯდა.

უნგრელმა მსაჯმა სტუმრებს ერთი პატივი მატჩის ბოლოსაც სცა, როდესაც გიორგი ელბაქიძისა და ვლადიმირ ნოსკოვის ორთაბრძოლისას პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა — არადა, საამისო არაფერი ჩანდა.

ყაზახები უხეშობას აშკარად არ ერიდებოდნენ, მსაჯს გასაფრთხილებლად ჯიბისკენ ხელის წაღება რამდენჯერმე მართებდა, თუმც...

ქართველები კი... გუშინ საქართველოს ნაკრები არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელიც ესპანეთთან ვნახეთ. პირველი ტაიმი, ჩვენების ორი გოლის მიუხედავად, თანაბარი იყო, მეორე კი — სტუმრებისა. საერთოდ, შუაზიელებმა ჩვენზე მეტჯერ დაარტყეს კარში, მაგრამ სახიფათოდ — ვერა. ქართველებმა უჯიგროდ ითამაშესო, ვერ ვიტყვით, პირიქით, ბურთისთვის ბრძოლა არ დაზარებიათ, მაგრამ შემოქმედება, იმპროვიზაცია აკლდათ, ამიტომაც იყო, პეტარ სეგრტი ციცარივით რომ ყვიროდა და ფეხბურთელებს სწრაფ აზროვნებას სთხოვდა.

ცალკე თემაა ბექა გოცირიძე. „ზესტაფონის“ თავდამსხმელი საუკეთესო იყო მოედანზე — გაცილებით ტანმაღალ ალექსანდრ კისლიცინს და ილია ვოროტნიკოვს ყველა საჰაერო ბრძოლა მოუგო, თავგანწირვით იბრძოდა და დაცვასაც ეხმარებოდა.

კარგად ითამაშეს საყრდენ ნახევარმცველად გამწესებულმა გიორგი ნავალოვსკიმ და მცველმა გიორგი ფოფხაძემ, საერთოდაც, დაცვა პირველ ტაიმში უშეცდომო იყო, მეორეში კი უფრო დაიტვირთა და ხარვეზმაც იმატა.

თითო ტაიმი ჩააგდეს სანდრო კობახიძემ და შოთა გრიგალაშვილმა, მეტს ველოდით მერებაშვილისგან, თუმც გუშინ მისი თამაში საეჭვოც კი იყო და, შესაძლოა, პასიურობა ტრავმამ გამოიწვია.

გოლები კი კარგი გამოდგა: მე-17 წუთზე კობახიძემ ბევრი ირბინა და წააქციეს — ჯარიმა გრიგალაშვილმა ჩააწოდა, გოცირიძის თავური კი მეკარის ხელიდან შევარდა კარში.

43-ე წუთზე ნავალოვსკიმ დიდებულად ითამაშა ართმევაზე, ბურთი საჯარიმოს ხაზამდე ჩაიტანა და მერებაშვილი დეხკანოვს პირისპირ შეჰყარა — ჩვენებურის ბოლო დარტყმა ოსტატური და ზუსტი გამოდგა.

იყო ერთი გამოსარჩევი მომენტიც, როდესაც გრიგალაშვილმა მეტოქის ნახევარზე, ცენტრალურ რკალში მეტოქეს ბურთი აართვა და უმალვე კარში დაარტყა; წინ გამოსული დეხკანოვი უძლური იქნებოდა, თუმც ბურთი მცირედით ასცდა კარს.

ბოლოს იყო პენალტი და მსაჯის წამატებული სანერვიულო სამი წუთი, რომლის დროსაც ვალენტინ ჩურეევმა შორიდან გაისროლა, ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა და საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ციკლში პირველი სამი ქულა მიითვალა.

**რუსეთი 1:0 პოლონეთი**

| სადღეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# არსენი თავისუფალია

## ფრანგის კონტრაქტს სამი წელი დაემატა



**არსენ ვენგერმა** „არსენალთან“ 2011 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. ვაზუსტებთ: მან ახალი ხელშეკრულება კი არ გააფორმა, ის გააახანგრძლივა, რომელსაც ვადა მიმდინარე სეზონის ბოლომდე ჰქონდა. სხვა სიტყვებით, არსენ ვენგერის ამჟამინდელი კონტრაქტი კიდევ სამ წელიწადს იმოქმედებს.

„ჩემი გული ამ კლუბს მიება და კონტრაქტის გახანგრძლივება იმთავითვე მიზნად მქონდა დასახული — უთხრა ფრანგმა სპეციალისტმა ჟურნალისტებს — ჩემი და „არსენალის“ ურთიერთობას ფესვები უკვე ძალიან ღრმად აქვს გადგმული და ნაყოფსაც იძლევა. მინდა აქ, ლონდონში, ჩემი ფასეულობები დავნერგო და ის თაობებს გაწვდეს“.

მოგეხსენებათ, ვენგერის „არსენალში“ დარჩენა გასულ ზაფხულს ეჭვის ქვეშ გუნდიდან ტიერი ანრის წასვლამ დააყენა, თუმცა მწვრთნელმა თქვა: „ეს კლუბი ჩემი ცხოვრების მთავარი კლუბია. აქ მე სრული თავისუფლება მაქვს მონიჭებული, ნება მაქვს, მოვიფიქრო და ხორცი შევასხა ნებისმიერ გეგმას, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ მე ფანების წინაშე ვარ პასუხისმგებელი — მათ ჯილდოები უნდა ჩავაბარო და კიდევ პასუხისმგებელი გახლავართ ფეხბურთელების წინაშე, რომელთაც ხელი უნდა შევუწყო, მათ თავიანთი ნიჭი თასებად და მედლებად რომ გარდასახონ“.

ვენგერის ხელფასი წელიწადში 4 მილიონი გირვანქა იქნება.

**ბაჰუნა ძედია**



# მატუსალემის ფაფუს ფიფა გაარკვევს

**დონეცკის** „შახტარმა“ ფიფას საჩივრის დიდი და ოფიციალური წერილით მიაკითხა — უკრაინელები 25 მილიონ ევროს, ანუ 34,16 მილიონ დოლარს ითხოვენ. მიზეზი: მათი აზრით, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მატუსალემმა, სრულიად უნებართვოდ დაიხურა ქუდი და ესპანურ „სარაგოსაში“ გაბარგდა.

დონეცკელები ამტკიცებენ, რომ „სარაგოსა“ და მატუსალემი მათ ზურგსუკან საიდუმლოდ შეიკრენ და მოილაპარაკეს, ფეხბურთელის კონტრაქტი ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაერღვიათ — აბა, ოფიციალურ წინადადებაზე ესპანელებს „შახტარმა“ უარი განუცხადა.

არადა, ივლისში „სარაგოსამ“ განაცხადა, რომ უკრაინელებთან ყველაფერზე მოილაპარაკა და ამ მოლაპარაკების შედეგად 27 წლის ფეხბურთელი 12 მილიონი ევროს სანაცვლოდ მისი გახდა. „შახტარი“ ამას კატეგორიულად უარყოფს. მისი შეფების თქმით, განსაკუთრებით დიდი დარტყმა მათ მატუსალემის ჩემპიონთა ლიგამდელ პერიოდში წასვლამ მიაყენა.

„ჩვენი საჩივრის მთავარი საფუძველი ტრანსფერისადმი არალეგალური მიდგომაა — განაცხადა „შახტარის“ აღმასრულებელმა დირექტორმა სერგეი პალკინმა — ამას გარდა კი, ფიფამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მატუსალემი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ და მისი ასე ნაუცბათევად შეცვლა მეტისმეტად ძნელი იქნება“.

„სარაგოსას“ წარმომადგენლის კომენტარი კი სრულიად არხეინი იყო: „ჩვენ ამ საკითხის გამო საერთოდ არ ვღელავთ. ფეხბურთელის შესაძენად ფიფას კანონებს მივდიეთ და ამ ორგანიზაციას მომხდარის ჩვენეული ვერსიაც მოვუყევით. ახლა ყველაფერი ფიფას ხელშია“.

**ბაჰუნა ძედია**

# შევჩენკომ მედიას მაურინიუ შესჩივლა

## რა ელის უკრაინელს?




**ანდრეი შევჩენკო** უკმაყოფილოა, რომ „ჩელსის“ მწვრთნელი ქოზე მაურინიუ აღარ ენდობა და საპრემიერლიგო მატჩებში არ ათამაშებს. ინგლისელთა უმაღლესი ლიგის საამსეზონო პირველ 5 თამაშში უკრაინელი „სტემფორდ ბრიჯის“ გუნდის განაცხადშიც კი ვერ მოხვდა.

„მილანის“ ექსმოიერიშემაც მედიასთან პორტუგალიელი თავკაცის უყურადღებობა დაიჩივლა.

„არ ვიცი, მაურინიუ რატომ არ მათამაშებს, მწვრთნელის გადაწყვეტილებას, უბრალოდ, ვერ ვიგებ. ნერვიულობით არ ვნერვიულობ, მხოლოდ იმას ველი, ბოლოს და ბოლოს, მოედანზე ჩემი გასვლის ჯერი როდის დადგება“ — განაცხადა უკრაინელმა თავდამსხმელმა.

მოგეხსენებათ, შევა დღეს თავის ნაკრებთან ერთად ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში საქართველოს ეროვნულ გუნდს შეერკინება. მაურინიუ კი ამბობს, რომ ანდრეის ზურგის ტრავმა ჯერ არ მორჩენია.

შევჩენკო გასულ ზაფხულს „მილანიდან“ „ჩელსიში“ 62 მილიონ ევროდ გადავიდა და შარშანდელ პრემიერლიგაში 4 გოლი გაიტანა. წლეულს ლონდონელებმა კლაუდიო პიზარო იყიდეს, პერუელი ფორვარდი სულ ძირითადშია, რაც შევჩენკოს სირთულეებს უქმნის.

**ლადო ხომერიკი**

# პატომ კარლო გაახარა



**კარლო ანჩელოტი** გახარებულია, რადგან 18 წლის ალეშანდრე პატომ კიევის „დინამოსთან“ ამხანაგურ მატჩში გოლი გაიტანა.

„ალეშანდრემ ძალიან გაგვახარა და პირველივე შეხვედრაში გამოჩნდა მისი კლასი — თქვა „მილანის“ მწვრთნელმა — აშკარაა, რომ ის ნიჭიერია და კარგად თამაშობს. სწრაფია, მოქნილი, აზროვნებს, თამაშს კითხულობს, გამოცდილებას კი ნელ-ნელა შეიძენს“.

ფანებისგან მოძულებულმა ალბერტო ჯილარდინომაც გაიტანა შეხვედრაში, რომელიც 2:2 დასრულდა.

შემადგენლობაში იყო კაკას ძმა დიგაოც, ვინც წინა სეზონი „რიმინიში“ გაატარა.

ანგარიში არტემ მილევსკიმ თავური დარტყმით გახსნა, სხვაობა კი გორან გავრანჩიჩმა გაზარდა. ტაიმის მიწურულს ალეშანდრე პატომ დანიელე ბონერას ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ დაუხვედრა. შესვენების შემდეგ კი ჯილარდინოს ჯერი დადგა — იგი მეკარესაც გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

„გოლი, თუნდაც ამხანაგურ მატჩში, სასიხარულოა — თქვა ჯილარდინომ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, პატო კი „მილანის“ ფეხბურთში იოლად ჩაეწერა“.

18 წლის ბრაზილიელი ძირითად შემადგენლობაში იანვრიდან გამოჩნდება, მანამდე კი მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში ათამაშებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რობენი მოშუშებულა

**არიენ რობენის** დებიუტი მადრიდის „რეალში“ პრიმერადივიზიონის მესამე ტურში, „ალმერიასთან“ მატჩში შედგება. სავარაუდოდ, ჰოლანდიელი ძირითად შემადგენლობაში არ იქნება, თუმცა ბერნდ შუსტერი შეხვედრის მსვლელობიდან გამომდინარე, თავის გამოჩენის საშუალებას მაინც მისცემს.

გუშინწინ რობენმა მადრიდში ჩასვლის შემდეგ ბურთთთან ერთად პირველად ივარჯიშა და დაამტკიცა, რომ ნორმალურ ფიზიკურ ფორმაშია. ჰოლანდიელს მარცხენა მუხლი აღარ აწუხებს და ალბათ მის სრულად გამოჯანმრთელებასაც მალე უნდა ველოდოთ.

ჰოლანდიელი ნახევარმცველი ესპანეთის სატახტოში მენისკის ოპერაციის შემდეგ ჩავიდა. ფეხბურთელს მარცხენა მუხლის არეში ტკივილები აწუხებდა, ეს მან „რეალის“ ექიმებს უთხრა და სამედიცინო შტაბმაც გადაწყვიტა, რომ რობენს მკურნალობის სპეციალური კურსი უნდა გაევლო.

დღეს არიენი ჯანზეა და მცირე ხნით თამაშსაც მოახერხებს.

**ლადო ხომერიკი**

# შვილო, დარჩი იქ, სადაც ხარ

**„ბარსელონას“** ახალგაზრდა მექსიკელი ვარსკვლავის ჯოვანი დოს სანტოსის შეძენა მხოლოდ „ჩელსის“ არ უნდა. აღმოჩნდა, რომ ჯოვანის სიჩაუქე „მანჩესტერ იუნაიტედის“ თვალფხიზელ თავკაც ალექს ფერგიუსონსაც შეუმჩნევია.

„მირორის“ ცნობით, იგი დოს სანტოსის საფეხბურთო განვითარებას ყურადღებით ადევნებს თვალყურს და თვლის, რომ „მანჩესტერმა“ „ბარსელონას“ მექსიკელის გამოსასყიდი თანხა, 30 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

თუმც ფეხბურთელის მამა, წარსულში თავადაც მობურთალი, ბრაზილიელი ზიზინიო აცხადებს, რომ ჯოვანის „ბარსადან“ წასვლა არ სურს.

„ჯოვანის აგენტი არ ჰყავს. ჩვენ კლუბის თავკაცებს ახალი კონტრაქტის თაობაზე უკვე მოვეთათბირეთ, მალე საქმეში აგენტიც ჩაერევა და ხელშეკრულების ამბავს გადავწყვეტთ. ჯიო „ბარსაში“ რჩება, აქ თავს მშვენივრად გრძნობს“ — აღნიშნა ზიზინიომ.

**ლადო ხომერიკი**

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ფინეთთან ჩემი ფილტვები რა მოსატანია?

A ჯგუფი

**სომხეთთან** ფრის შემდეგ პორტუგალიას წაფორხილების უფლება აღარ აქვს. დღეს ლისაბონში ჯგუფის ლიდერ პოლონეთს უმასპინძლებენ, რომელთანაც სტუმრად 1:2 წააგეს.



სიმაო საბროსას და პორტუგალიელებს წაფორხილების უფლება აღარ აქვთ

პორტუგალიელებს ვერ დაეხმარებიან რიკარდუ კარვალიუ და პეპე. „რეალის" მცველმა პეპემ კლუბში ვარჯიშისას მიიღო ტრავმა ნაკრებში გამოძახებიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

დაცვის ცენტრში ალბათ ფერნანდო მეირა და ჟორჟე ანდრადე ითამაშებენ.

„შეცდომის უფლება არ გვაქვს — თქვა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ — 50 ათასი ქომაგი გამარჯვების სანახავად მოვა".

„აუცილებლად უნდა მოვიგოთ მომდევნო ორივე მატჩი, რაც ფსიქოლოგიურ ტვირთად გვაწვება, მაგრამ მჯერა ჩვენი გუნდის — განაცხადა სიმაო საბროსამ — პოლონეთში დავმარცხდით, თუმც შეცდომის გამოსწორების შანსი არსებობს".

პოლონელებს ტრავმების გამო დაცვაში პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ ლეო ბეენჰაკერი იმედიანადაა: „მათ ჰაერივით სჭირდებათ სამი ქულა, ჩვენ კი უკეთეს ვითარებაში ვართ. შესარჩევი დასასრულს უახლოვდება და იოლი მატჩები აღარ იქნება".

ნახევარმცველი მიხალ გოლინსკი და მცველი იაცეკ ბაკი ტრავმირებულნი არიან. სამაგიეროდ, გამოძახებულია „გკს ბელხატუვის" გამთამაშებელი ლუკაშ გარგულა.

სერბეთის ტრავმირებული მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ბელგრადში ავტომობილით ჩავიდა. იგი ათი დღის წინ ბილბაოში, საკუთარ ავტოფარეხში ველოსიპედიდან გადმოვარდა და ოთხი ნეკნი გაუტყდა, ლავიწის ძვალი გაებზარა და ფილტვებიც დაუზიანდა. თვითმფრინავით ვერ გაემგზავრებოდა და სერბეთში ავტომობილით ამიტომ წავიდა.

„ფინეთის დამარცხება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი ტრავმების მოშუშება — თქვა კლემენტემ — ტკივილი კი მაწუხებს, მაგრამ გუნდთან ერთად რომ ვარ, თავს უკეთესად ვგრძნობ. წოლა ჩემთვის უფრო მავნებელია, ვიდრე სიარული. შესარჩევი ციკლის განმავლობაში რამდენჯერმე წავიბორძიკეთ, რის გამოც ახლა მეოთხე ადგილზე ვართ და დარჩენილი მატჩების მოგება გვმართებს".

მეკარე ვლადიმირ სტოიკოვიჩი აღფრთოვანებულია კლემენტეს გმირობით: „ჩვენ ვპირდებით მწვრთნელს სამ ქულას, რაც პორტუგალიასთან მატჩის წინ თავდაჯერებულობას შეგვმატებს".

სერბებს დაცვაში ნემანია ვიდიჩი და მლადენ კრსტაიჩი დააკლდებიან. დისკვალიფიკაცია მოიხადა კაპიტანმა დეიან სტანკოვიჩმა, ხოლო ნიკოლა ჟიგიჩმა ტრავმა მოიშუშა — აყლაყუდა ფორვარდმა ბოლო სამი სანაკრებო მატჩი გამოტოვა.

რაც შეეხება ჯგუფის მესამე მატჩს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის — შეგახსენებთ, რომ უეფამ მათი შეხვედრები გააუქმა, რადგან ქვეყნები ერთი წლის განმავლობაში ვერ მორიგდნენ, თუ სად უნდა ეთამაშათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:7 | 19 |
| ფინეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:6 | 17 |
| პორტუგალია | 8 | 4 | 3 | 1 | 16:6 | 15 |
| სერბეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 14 |
| ბელგია | 9 | 3 | 1 | 5 | 8:12 | 10 |
| სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:8 | 8 |
| ყაზახეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:13 | 6 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

# თერიმმა ექვსქულიანი ტორტი მოითხოვა

C ჯგუფი

**ნორვეგიის** ნაკრების მწვრთნელმა აგე ჰარეიდემ მოლდოვასთან მატჩისთვის კვლავ გამოიძახა მეკარე ტომას მირე, რომლის შეცდომების გამოც გაზაფხულზე თურქებთან შეხვედრაში ორი ქულა დაკარგეს. ნორვეგია ფრანკფურტში თურქებს 2:0-ს უგებდა და მეკარის შეცდომების შედეგად ჰამიტ ალტინტოპისგან ორი გოლი გაუშვა. მას შემდეგ ტომას მირე „ვიკინგში" გადავიდა, კარგად ათამაშდა და მწვრთნელი ისევ ენდობა.

„მე ორივე მეკარით კმაყოფილი ვარ, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა საქმეში ვნახო ტომასი, რომელიც ამჟამად კარგ ფორმაშია" — განაცხადა აგე ჰარეიდემ.

ნაკრებში გამოძახებულია მცველი ერიკ ჰეგენიც — იგი დისკვალიფიკაციის გამო მოლდოვასთან შეხვედრას გამოტოვებს, მაგრამ ოთხშაბათს საბერძნეთთან ითამაშებს.

მოლდოვის ნაკრებს კი ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი დააკლდება — მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი სერგეი კოვალჩუკი და „ტომის" მცველი ვალერი კატინსუსი ტრავმირებულნი არიან.

მწვრთნელმა იგორ დობროვოლსკიმ კვლავ გამოიძახა ნახევარმცველი ნიკოლაი ჟოსანი და „შერიფის" ფორვარდი ალექსანდრ სუვოროვი.

ნორვეგიასთან ფრისა და ბოსნიასთან მარცხის შემდეგ თურქეთის ნაკრებმა ლიდერობა დაკარგა და საბერძნეთს ხუთი ქულით ჩამორჩა. ფათიჰ თერიმი, რომელსაც 4 სექტემბერს 54 წელი შეუსრულდა, დაბადების დღეზე საჩუქრად მალტასთან და უნგრეთთან ექვს ქულას ითხოვს.

ნაკრებში გამოძახებულია „გალათასარაის" ნახევარმცველი აიჰან ჰაკმანი, ვინც ამ სეზონში კარგად თამაშობს. ბოლოს იგი ეროვნულ გუნდში ორწელიწადნახევრის წინ იყო.

ასევე ორწლიანი შესვენების შემდეგ უხმეს დენიზ ბარშს, ხოლო რერდარ ეზკანი და ჰაირეტინ იერლიკაია დებიუტანტები არიან. გუშინ ვარჯიშზე დაშავდა ემრე ბელოზოღლუ და, შესაძლოა, ვერ ითამაშოს.

მალტის ნაკრებს კი „მარშაქსლოკის" თავდამსხმელი დანიელ ბოგდანოვიჩი დაეკარგა. მწვრთნელმა დუშან ფიტცელმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ კონტრაქტი გაახანგრძლივა, განაცხადა: „დანიელი გაქრა, სადღაც საზღვარგარეთ წავიდა კლუბის მოსაძებნად და არ ვიცით, როდის დაბრუნდება. ჩემთვის იგი ნაკრების ფეხბურთელი აღარაა".

ამხანაგურ მატჩში იტალიის მძლეველი (3:1) უნგრეთის ნაკრების თავკაცმა პეტერ ვარხიდიმ გამარჯვებული შემადგენლობა არ შეცვალა.

„ბოსნიელებთან უფრო რთული მატჩი იქნება, ვიდრე იტალიასთან — თქვა უნგრელთა ფორვარდმა ზოლტან გერამ — მათთან დიდი ბრძოლა მოგვიწევს, მიუხედავად იმისა, რომ შარშან სტუმრად 3:1 დავამარცხეთ".

ბოსნიელთა მწვრთნელმა ფუად მუზუროვიჩმა ორი მეკარე გამოიძახა, რომლებსაც ნაკრებში აქამდე არ უთამაშიათ.

მთავარმეკარე მუჰამედ ალაიმი ტრავმირებულია, ისევე, როგორც მცველი ველდინ მუარემოვიჩი და ნახევარმცველი ბრანისლავ კრუნიჩი.

დებიუტანტი გოლკიპერები არიან ხდენკო ბაოტიჩი და დენის მუიკიჩი. გუნდში უხმეს მცველს სემიონ მილოშევიჩს, ნახევარმცველ ედინ ჰუსიჩს და ფორვარდ დრაგან ბლატნიაკს.

„ეს ორი მატჩი (მოლდოვასთან და საბერძნეთთან) ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან მეორე ადგილზე გადასვლის შანსი გვაქვს. მართალია, უნგრეთმა იტალიას აჯობა, მაგრამ ჩვენ ბუდაპეშტში სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ" — თქვა ფუად მუზუროვიჩმა.

აქვე ვთქვათ, რომ „დუისბურგის" ბოსნიელმა ნახევარმცველმა 32 წლის ივიცა გრლიჩმა სანაკრებო კარიერა დაასრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 12:5 | 18 |
| ბოსნია | 7 | 4 | 1 | 2 | 14:14 | 13 |
| თურქეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| ნორვეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 17:6 | 13 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | 6 |
| მალტა | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | 2 |



ფათიჰ თერიმი

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## ნერვების პრესკონფერენცია...

D ჯგუფი

**გერმანიის** ნაკრებს მიროსლავ კლოზე უკაპიტნებს, რადგან მიხაელ ბალაკი ტრავმირებულია და ბერნდ შნაიდერი დისკვალიფიცირებული.

კლოზეს მეწყვილე შეტევაში კევინ კურანი იქნება. გუშინწინდელ ვარჯიშზე ფილიპ ლამიც დაშავდა და უელსთან მატჩში ნაკრებს ვერ დაეხმარება.

„უელსი ძალიან აგრესიული, მებრძოლი გუნდია და უმძიმესი მატჩი გველის" — თქვა იოახიმ ლიოვმა, რომელიც ნახევარდაცვის ცენტრში ბასტიან შვაინშტაიგერს გაამწესებს.

„ის ერთ-ერთი ლიდერია გუნდისა და ვიმედოვნებ, რომ უკეთესად ითამაშებს, ვიდრე „ჰამბურგთან" — განაცხადა მწვრთნელმა.

მეკარე იენს ლემანს კი პრესკონფერენციაზე „არსენალზე" ჰკითხეს. კლუბში მან ადგილი დაკარგა ორი შეცდომის გამო და გერმანელი ჟურნალისტებიც ამით დაინტერესდნენ, რაზეც ლემანმა უთხრა: „თქვენი ნაწერები ჩემს შესახებ ნერვებს მიშლის". უელსთან მატჩზე კი მეკარემ თქვა: „ჩვენ ინგლისთანაც ბევრი ტრავმირებული დაგვაკლდა, მაგრამ მაინც მოვიგეთ, რამაც საკუთარი თავის რწმენა შეგვმატა. ასე რომ, უელსთანაც მოსაგებად ვითამაშებთ".

მასპინძელთა ფორვარდმა ფრედი ისტვუდმა, რომელმაც ბულგარეთთან ამხანაგურ მატჩში გაიტანა, განაცხადა: „მე კარგ ფორმაში ვარ, ლემანი კი — არა, რაც ჩემს შანსებს ზრდის. ნებისმიერ ფეხბურთელს აქვს დალმასვლა და გერმანელთა მეკარეც ამ დღეშია".

ბულგარეთთან შეხვედრაში ისტვუდის დებიუტი შედგა და მისი გოლით მოიგეს.

კარში 20 წლის უეინ ჰენესი იდგა და მანაც კარგად ითამაშა. ორივე „საუთჰემპტონის" ფეხბურთელია და მწვრთნელი ჯონ ტოშაკი გერმანიასთან მატჩში მათ ენდობა.

ნაკრების მაისურამ ჰენესი გადარია:

„ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს, თავი სიზმარში მგონია. ჩემს ასაკში გერმანიის წინააღმდეგ თამაში წარმოუდგენლად მეჩვენებოდა".

სლოვაკეთთან მატჩისთვის ირლანდიელთა შემადგენლობაში მეკარე შეი გივენი და ნახევარმცველი ლი კარსლი დაბრუნდნენ. აგვისტოში დანიასთან ამხანაგური მატჩი ტრავმის გამო ორივემ გამოტოვა. სტივ სტონტონმა აგრეთვე გამოძახა პოლ მაკშეინი, ჯონათან დუგლასი, სტივ აილანდი და დარონ გიბსონი, რომლის დებიუტიც აგვისტოში შედგა.



იენს ლემანი ჟურნალისტებს გაუწყრა

AFP

„ნიუკასლის" მცველ სტივენ კარს მუხლი სტკივა და ვერ ითამაშებს და ამიტომ მის ნაცვლად „ვულვერჰემპტონიდან" კევინ ფოლის უხმეს.

„დანიასთან მატჩმა გვაჩვენა, რომ გუნდი კარგადაა შეთამაშებული. ამიტომაც მოვიგეთ 4:0. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა იყო და მომდევნო ორი მატჩი რთული იქნება. 25 კაცი გამოვიძახე, რათა ტრავმებისგან და დისკვალიფიკაციისგან დაზღვეულები ვიყოთ" — განაცხადა მწვრთნელმა სტივ სტონტონმა.

ოთხშაბათს ირლანდია ჩეხეთს ესტუმრება.

კარელ ბრიუკნერის ჩეხეთს სან მარინოში გასეირნება ელის. საამმატჩოდ მწვრთნელმა „სლავიას" ფორვარდი, 31 წლის სტანისლავ ვლჩეკი და მეკარე, 36 წლის მარტინ ვანიაკი გამოიძახა. „სლავია" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და მისი ფეხბურთელები ამჟამად კარგ ფორმაში არიან. ვანიაკმა ბოლოს ნაკრებში 2004-ის მარტში ითამაშა.

აგვისტოში ავსტრიასთან მატჩი გამოტოვეს ტომაშ როსიცკიმ და მარეკ იანკულოვსკიმ. ამჯერად ორივე გუნდში იქნება.

მაჟა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 29:4 | 19 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:4 | 14 |
| ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 16:13 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:16 | 7 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:37 | 0 |

E ჯგუფი

## იოსი ბენაიუნი: აი, დარდი!

„**ჩვენ** თვითონ ჩავიგდეთ თავი ურთულეს ვითარებაში და აქედან როგორმე უნდა გამოვძვრეთ" — თქვა ინგლისის ნაკრების მცველმა რიო ფერდინანდმა.

მწვრთნელ სტივენ მაკლარენს დანიშვნის დღიდან კრიტიკა არ მოჰკლებია, რაც ყოველი მატჩის შემდეგ მატულობს. ინგლისი ჯგუფში ჩარჩენის ზღვარზეა, რადგან დარჩენილი ხუთი შეხვედრიდან მხოლოდ ერთს (ესტონეთთან) ეთქმის იოლი, ოთხი კი კონკურენტებთან ელის. მათ შორისაა ისრაელი, ვისაც დღეს დაუხვდება და ვისთანაც სტუმრად უგოლოდ ითამაშა.

ტრავმების გამო ინგლისს დევიდ ბექემი, უეინ რუნი, გარი ნევილი, კირონ დაიერი და ფრენკ ლამპარდი დააკლდებიან. პიტერ კრაუჩი დისკვალიფიცირებულია და მის ნაცვლად სამწლიანი შესვენების შემდეგ ემილ ჰესკი გამოიძახეს. სტივ მაკლარენს მაიკლ ოუენისა ეიმედება, რომელმაც „ნიუკასლის" შემადგენლობაში ბოლო ორ მატჩში გაიტანა. ნახევარდაცვის ცენტრში, სავარაუდოდ, ოუენ ჰარგრივსი და სტივენ ჯერარდი ითამაშებენ, რომლებსაც მსუბუქი ტრავმები აწუხებდათ.

ისრაელის ნაკრები საშინაო შეხვედრაში დაცვაში იდგა და 0:0-ს მიაღწია, რის გამოც ინგლისელმა ჟურნალისტებმა ანტიფეხბურთის თამაში დააბრალეს.

„ლივერპულის" ნახევარმცველმა იოსი ბენაიუნიმ თავის ნაკრებზე თქვა: „სულაც არ მადარდებს, რას ამბობენ ჩვენზე, ფრე კარგი შედეგია და ბედნიერი ვიქნები, თუ იგივეს „უემბლიზეც" მივაღწევთ. არ მესმის, რატომ ელიან ჩვენგან ღია ფეხბურთს. რომ გავიხსნათ, მეორე წუთისთვის სამ გოლს გაგვიტანენ. „უემბლიზე" ნახევარი საათი თუ გავუძელით, ინგლისელები ანერვიულდებიან და ქომაგებიც გაბრაზდებიან, რაც ჩვენ გვაძლევს ხელს".

დაუმარცხებელი რუსეთის ნაკრები, რომელმაც 7 მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, მაკედონიას უმასპინძლებს. გუუს ჰიდინკმა გუნდში დააბრუნა ცსკა-ს მცველი სერგეი იგნაშევიჩი, რომელიც პოლონეთთან ამხანაგურ მატჩისთვის უდისციპლინობის გამო არ გამოიძახა.

„მაკედონიელებს ძლიერი დაცვა ჰყავთ, ნახევარმცველებიც სწრაფნი არიან და ამიტომ კონტრშეტევები კარგად გამოსდით — უთხრა გუუს ჰიდინკმა ჟურნალისტებს — ვიცი, რომ თქვენ ახლა უფრო საოთხშაბათო, ინგლისთან მატჩზე ფიქრობთ, მაგრამ ჯერ ადრეა. ჯერ მაკედონიას უნდა მოვუგოთ".

მაკედონიელთა თავკაცმა სრეჩკო კატანეცმა არ გამოიძახა მეკარე იანე ნიკოლოვსკი და ილჩო ნაუმოსკი, რომლებსაც აქამდე შესარჩევის არცერთი მატჩი არ გამოუტოვებიათ.

„რუსეთი ფავორიტია, მაგრამ ჩვენ თავს არ დავზოგავთ და მოსაგებად ვითამაშებთ" — თქვა მწვრთნელმა.

ჯგუფის ლიდერ ხორვატებს დღეს და ოთხშაბათს ისეთი მეტოქეები ჰყავთ, რომ ექვსი ქულის აღება არ გაუჭირდებათ — ჯერ ესტონეთს უმასპინძლებს, მერე კი ანდორას ესტუმრებიან.

მაჟა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 17 |
| ისრაელი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 17 |
| რუსეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:1 | 15 |
| ინგლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:2 | 14 |
| მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| ესტონეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 2:15 | 3 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:30 | 0 |



იოსი ბენაიუნი და მისი რაზმი



სტივ მაკლარენი გაჭირვებულ დღეშია

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



ლუის არაგონესი და ხავი ერნანდესი

AFP

## წელიწადი ურაუღლოდ
### მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ვარჯიშისას იჩხუბეს...

F ჯგუფი

**ივნისში** დანია — შვედეთის მატჩი 3:3-ზე შეწყდა, როცა მსაჯმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა და გაავებული მთვრალი ქომაგი არბიტრის საცემად მოედანზე შევარდა. დანიელებს 0:3 წაგება ჩაუთვალეს, რამაც ჯგუფიდან გასვლის შანსი შეუმცირა, ხოლო შვედებმა პირველ ადგილზე გადაინაცვლეს. დღეს ეს გუნდები გიოტებორგში შეხვდებიან.

„მოუთმენლად ველი თამაშს და დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ" — თქვა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა.

შვედებს დაუბრუნდათ ძირითადი მეკარე ანდრეას ისაკსონი, რომელსაც თითის ტრავმის გამო სამი კვირა გაუცდა. დაშავებულნი არიან ნახევარმცველი ფრედი ლიუნგბერგი და ფორვარდი მარკუს ოლბაკი. შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს „აიაქსის" ნახევარმცველმა კენედი ბაკირჩოღლუმ.

დანიელთა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა 36 წლის მცველს თომას ჰელვეგს უხმო, რომელმაც ბოლოს ნაკრებში 2006-ის ნოემბერში ითამაშა, სულ კი ეროვნული გუნდის მაისურა 104-ჯერ მოირგია.

„იგი ხუთი თითივით იცნობს ნაკრებს და ბევრ ფეხბურთელსაც სჯობია გამოცდილებით" — თქვა ოლსენმა, რომელმაც „ფიორენტინას" ნახევარმცველი მარტინ იორგენსენი ნაკრებს მილმა დატოვა — იორგენსენმა ცოტა ხნის წინ მოიშუშა ტრავმა და ჯერ ფორმაში არაა.

ესპანეთი სტუმრად ისლანდიას ეთამაშება და უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ლუის არაგონესი რაულს ჯიუტად არ იძახებს. ესპანური მედიის ცნობით, ხუთშაბათს, დილის ვარჯიშზე არაგონესმა ხუანიტოსთან და მარჩენასთან იკამათა, რასაც ნაკრების მეკარე ხოსე რეინა უარყოფს: „განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ამისგან პრობლემას ნუ შევქმნით. მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა მხოლოდ იხუმრეს. არაგონესი მშვიდი კაცია, გუნდის მზადებით კმაყოფილია და ჩვენც გვერდში ვუდგევართ. ორ შეხვედრაში ექვსი ქულის აღება გვინდა და ამის გამო ვარჯიშის დროს ზოგჯერ ემოციები სჭარბობს".

ისლანდიელთა მწვრთნელმა ეიოლფურ სვერისონმა ბარსელონელ ეიდურ გუდიონსენს უხმო, რომელმაც ახლახან მოიშუშა ტრავმა. ფორვარდმა დღეს შეიძლება ვერ ითამაშოს, მაგრამ ოთხშაბათს ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩისთვის ალბათ მზად იქნება.

ლატვიის ნაკრებს ჩრდილოირლანდიელებთან გამოცდილი მცველი იგორ სტეპანოვსი დააკლდება. ტრავმირებულია „სკონტოს" მეკარე ანდრეის პიედელისი, რომლის ნაცვლადაც ალექსანდრს სტარკოვსმა დენის რომანოვსი გამოიძახა. შემადგენლობაში დაბრუნდნენ მარის ვერპაკოვსკისი და მარიან პახარსი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 17:4 | 18 |
| ჩრ. ირლანდია | 7 | 5 | 1 | 1 | 13:8 | 16 |
| ესპანეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 15 |
| დანია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:21 | 4 |
| ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| ლატვია | 6 | 1 | 0 | 5 | 4:7 | 3 |

## პენევი შიშს არ იცნობს

G ჯგუფი

**დიმიტარ პენევი**, რომელიც ათი წლის წინაც მუშაობდა ნაკრებში, ივლისში ბულგარეთის მწვრთნელად დანიშნეს და ეს შესარჩევი ციკლი უნდა ჩაამთავროს. გუნდი მეორე ადგილზეა და ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს.

დღეს პენევის ნაკრები ჰოლანდიას ესტუმრება, რომელსაც ერთი ქულით უსწრებს. თუმც ერთი მატჩით მეტი ითამაშა.

„ჰოლანდიელებს ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავთ — თქვა ბულგარელთა თავკაცმა — ისინი ევროპის საუკეთესო კლუბებში თამაშობენ. მხოლოდ ჰოლანდიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებითაც რომ დააკომპლექტონ ნაკრები, მაინც ძლიერი გუნდი ეყოლებათ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ქულისთვის არ მივემგზავრებით — მოგება გვინდა. ალბანეთთან საშინაო ფრის გამო გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციას და სამი ქულის აღებას ვაპირებთ".

ბულგარელებს, რაც მთავარია, დიმიტარ ბერბატოვი დაუბრუნდათ. „ტოტენჰემის" ფორვარდმა აგვისტოში უელსთან ამხანაგური მატჩი გამოტოვა. ნაკრებში პირველად უხმეს „ლიტექსის" 22 წლის მცველ პლემენ ნიკოლოვს, „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელი ვალერი ბოჟინოვი კი დაშავებულია.

„ჩვენ არც ერთი მეტოქის არ გვეშინია, რადგან დაუმარცხებელი გუნდები არ არსებობენ" — განაცხადა დიმიტარ პენევმა.

ჰოლანდიელთა ნაკრებში კვლავ გამოჩნდა „ბლექბერნის" მცველი ანდრე ოიერი, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. მას 2006-ის ნოემბრის მერე „ნარინჯისფერებში" არ უთამაშია. აგვისტოში შვეიცარიასთან ამხანაგური შეხვედრა გამოტოვეს ნაიჯელ დე იონგმა, იბრაჰიმ აფელაიმ, კლაას-იან ჰუნტელაარმა და იორის მატიისენმა, რომლებსაც მწვრთნელმა საბულგარეთოდ უხმო.

ლუქსემბურგთან მატჩისთვის სლოვენიის ნაკრების თავკაცმა არ გამოიძახა გორან შუკალო, მატეი მავრიჩი, ბოსტიან ცესარი, ანსტაი ჩეხი და ერმინ რაკოვიჩი. ფორვარდმა მილენკო აჩიმოვიჩმა კი სანაკრებო კარიერა აგვისტოში დაასრულა.

ბელარუსის გერმანელმა მწვრთნელმა ბერნდ შტანგემ რუმინეთთან მატჩის წინ შემადგენლობა გვარიანად გადაახალისა. მან გამოცდილი სერგეი შტანიუკი და სერგეი გურენკო გუნდს მილმა დატოვა და ალბათ მათი სამსახური მომავალშიც აღარ დასჭირდება.

შტანგემ ალექსანდრ კულჩი და ვიტალი ბულიგა; მოიწვია, რადგან მათ ისრაელთან ამხანაგურ მატჩში თამაში იუარეს.

„მინდოდა, რომ ჩამოსულიყვნენ და ერთმანეთი გაგვეცნო, მაგრამ არ იკადრეს. ამიტომაც არ გამოვიძახე და არა მგონია, რომ ეს ოდესმე გავაკეთო" — თქვა გერმანელმა.

რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა კი ტრავმების გამო იძულებული გახდა, დან მატეა და სერგეი რადუ მიეწვია. „ვოლფსბურგის" თავდამსხმელმა რადუმ ამ სეზონში ბუნდესლიგაში ორი გოლი გაიტანა და პიცურკას ყურადღებაც დაიმსახურა. დაშავებულნი არიან კოზმინ კონტრა, ალინა სტოიკა და ლაურენტიუ როშა, გაბრიელ ტამაში კი დისკვალიფიცირებულია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 14:4 | 17 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 15 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| ბელარუსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:15 | 7 |
| სლოვენია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:12 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 1:14 | 0 |



დიმიტარ პენევი

| 14257 | შვედეთი-დანია | 1.70 | 2.20 |
| 14258 | ჰოლანდია-ბულგარეთი | 1.08 | 2.90 |
| 14260 | იტალია-საფრანგეთი | 1.75 | 2.10 |
| 14261 | პორტუგალია-პოლონეთი | 1.20 | 2.60 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16080 | ტრიესტინა-ლეჩე | 1.85 | 1.80 |
| 16081 | ალბინოლეფე-გროსეტო | 1.25 | 3.40 |
| 16083 | ბარი-ვიჩენცა | 1.45 | 2.45 |
| 16084 | ბოლონია-რავენა | 1.14 | 4.70 |
| 16086 | ჩეზენა-პიზა | 1.34 | 2.80 |
| 16087 | ფროზინონე-აველინო | 1.30 | 3.00 |
| 16088 | მანტოვა-მესინა | 1.40 | 2.55 |
| 16089 | მოდენა-სპეცია | 1.14 | 4.70 |
| 16090 | ტრევიზო-კიევო | 1.85 | 1.80 |
| 16109 | სელტა-ეიბარი | 1.17 | 4.10 |
| 16110 | სოსიედადი-ეხიდო | 1.12 | 4.60 |
| 16111 | ფეროლი-ლას პალმასი | 1.30 | 3.00 |
| 16112 | სპორტინგი-ელჩე | 1.45 | 2.45 |
| 16113 | ნუმანსია-სერესი | 1.30 | 3.00 |
| 16114 | ჰერკულესი-ალბასეტე | 1.45 | 2.45 |
| 16115 | სიუდადი-ტენერიფე | 1.62 | 2.05 |
| 16116 | კადისი-სალამანკა | 1.22 | 3.40 |
| 16117 | სევილია ატლ-ალავესი | 1.30 | 3.00 |
| 16118 | მალაგა -კორდობა | 1.17 | 4.10 |
| 16119 | ტარაგონა-კასტელონი | 1.32 | 3.00 |
| 16141 | ფრემი-აკადემისკი | 1.55 | 2.20 |
| 16142 | სკივე-სილკებორგი | 3.60 | 1.23 |
| 16144 | ნესტვედი-ჰვიდოვრე | 1.17 | 4.10 |
| 16145 | კიოგე-იოლსტიკე | 1.23 | 3.60 |
| 16146 | ლოლანდი-ჰელერუპი | 1.55 | 2.20 |
| 16147 | ფრედერისია-ჰერფიოლგე | 1.32 | 3.00 |
| 16148 | ტრომსდალენი-ბოდიო გლიმტი | 2.45 | 1.40 |
| 16149 | ლოვ ჰამი-ჰიონეფოსი | 1.40 | 2.55 |
| 16150 | რაუფოსი-მანდალი | 1.12 | 4.60 |
| 16151 | მოსი-ნოტოდენი | 1.14 | 4.70 |
| 16152 | ბრინი-ჰამარი | 2.10 | 1.60 |
| 16153 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 1.50 | 2.30 |
| 16155 | სოგნდალი-სპარტა ს | 1.32 | 3.00 |
| 16160 | ფალკენბერგი-ნორჩიოპინგი | 2.90 | 1.32 |
| 16161 | მიალბი-ლიუნგსკილე | 1.62 | 2.05 |
| 16163 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.30 | 3.00 |
| 16164 | სილვია-იონკოპინგი | 1.55 | 2.20 |
| 16233 | შოტლანდია-ლიტვა | 1.02 | 6.70 |
| 16235 | უნგრეთი-ბოსნია ჰერცოგოვინა | 1.45 | 2.45 |
| 16238 | ლატვია-ჩრდ.ირლანდია | 2.20 | 1.50 |
| 16239 | ისლანდია-ესპანეთი | 5.70 | 1.11 |
| 16245 | ინგლისი-ისრაელი | 1.02 | 6.70 |
| 16247 | ბელარუსი-რუმინეთი | 3.60 | 1.23 |
| 16249 | მოლდოვა-ნორვეგია | 5.70 | 1.11 |
| 16251 | სერბეთი-ფინეთი | 1.08 | 5.00 |
| 16252 | უელსი-გერმანია | 5.50 | 1.12 |
| 16254 | სლოვაკეთი-ირლანდია | 1.70 | 1.95 |
| 16257 | შვედეთი-დანია | 1.38 | 2.65 |
| 16258 | ჰოლანდია-ბულგარეთი | 1.08 | 5.00 |
| 16260 | იტალია-საფრანგეთი | 1.50 | 2.30 |
| 16261 | პორტუგალია-პოლონეთი | 1.10 | 5.50 |

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

## პიილი გააყოჩეს



**უელსის** ნაკრების შერკინების გამთამაშებელი (9 ნომერი) დუეინ პიილი ხვალ პირველად უყოჩებს „წითელ დრაკონებს“.

ხვალ უელსის ნაკრები წლევანდელ მსოფლიოს თასზე თავის პირველ მატჩში უამბიციო კანადას ეთამაშება და თქმა არ უნდა, იოლად მოიგებს. ამიტომაც „დრაკონების“ მწვრთნელმა გარეტ ჯენკინსმა თავისი ორი ლიდერი და მექულე გარეტ ტომასი და სტივენ ჯონსი სათადარიგოებში დასვა. ტომასი გუნდის კაპიტანია, ჯონსი კი — ვიცე, ჰოდა კანადასთან ყოჩობა პიილს დაევალა.

„ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ მსოფლიოს თასზე ერთზე მეტი კაპიტნით ვითამაშებდით, რადგან ასეთ ტურნირებზე ხშირია ტრავმიანობა, მთამაშეებსაც დასვენება სჭირდებათ და შემადგენლობის ხშირი ცვლა მოგვიწევდა. ტომასი კაპიტანია, ჯონსი — ვიცე-კაპიტანი, მესამე კანდიდატურად კი პიილი შევარჩიეთ. ეს გადაწყვეტილება ყველამ ერთად მივიღეთ“ — განაცხადა გარეტ ჯენკინსმა და იქვე კანადასთან შერჩეული 22-კაცა რაზმი დაასახელა. უელსი კანადასთან ამ შემადგენლობით ითამაშებს: **კევინ მორგანი, მარკ ჯონსი, ტომ შენკლინი, სონი პარკერი, შეინ უილიამსი, ჯეიმს ჰუკი, დუეინ პიილი (კაპ); გეტლინ ჯენკინსი, მეტიუ რიისი, ადამ ჯონსი, იან გუ, ალენ-უეინ ჯონსი, ჯონატან ტომასი, მარტინ უილიამსი, ალიქს პოპემი.**

***სათადარიგოები:* რიის ტომასი, დანკან ჯონსი, მაიკლ ოუენი, კოლინ შარვისი, მაიკლ ფილიპსი, სტივენ ჯონსი, გარეტ ტომასი.**

## ლომუს ყივილი: მამლებს შეუძლიათ!




**ძველი** „ოლ ბლექსის“ მთავარი დამრტყმელი ძალა, ლეგენდარული ჯონა ლომუ, მიმდინარე მსოფლიო თასზე ევროსპორტის ექსპერტია და მისი კომპეტენტური კომენტარების გადმოქართულებულ ვერსიას საფრანგეთის ნაკრების შესახებ „სარბიელიც“ შემოგთავაზებთ.

„საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო თასის მასპინძელია და ეს ფაქტორი გუნდზე შეიძლება, დადებითადაც აისახოს და უარყოფითადაც. ერთი მხრივ, საკუთარ კედლებში გულშემატკივართა თვალწინ თამაში, შეიძლება, მორაგბეებისთვის ზედმეტი დაძაბულობის საბაბი გახდეს, მაგრამ მეორეს მხრივ, ლურჯად გადაფერადებულ სტადიონზე ოთხმოციათასი მომღერალი ფრანგი ქომაგის წინაშე ბურთაობა „მამლების“ მოწინააღმდეგეთათვის აბსოლუტური კოშმარი იქნება. ჩემშიც, როგორც ახალზელანდიელში, ამ აგუგუნებული ტრიბუნების მოსმენა გადაჭარბებულ ემოციებს იწვევს და ასე მგონია, მოედანზე რომ ვიყო, სასწაულებს მოვახდენდი. ვთვლი, რომ საფრანგეთის ნაკრები მუნდიალის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და თასის მოგების ყველაზე მეტი შანსი აქვს, როგორც მასპინძელს. „მამლების შეფასება განვლილი სეზონების შედეგების მიხედვით არასამართლიანი იქნება და ახლა 2007 წელია და ჩვენს წინაშეა ძალიან ძლიერი საფრანგეთის ნაკრები.

„მამლები“ ყოველთვის გამოირჩეოდნენ შეტევაში კომბინაციური და ლამაზი თამაშით, მაგრამ ამ ფორმაციის ნაკრების მორკინალები განსაკუთრებულად ძლიერები არიან. საფრანგეთს ჰყავს ისეთი საკვანძო მორაგბე, როგორიცაა სებასტიენ შაბალი. ის მშვენივრად ხედავს მოედანს და კარგად ართმევს თავს თამაშის ორგანიზებას. ერთი სიტყვით, შაბალი ის მორაგბეა, რომელსაც ერთი ხელის მოსმით, მატჩის ბედის შეცვლა შეუძლია. უმთავრესი კოზირი კი საფრანგეთის ნაკრებისთვის ბრძოლისუნარიანობაა. „მამლებთან“ ოდნავ მოშვებაც კი მოწინააღმდეგისთვის დამღუპველია. საფრანგეთი უმთავრესი ფავორიტის რანგში არ იწყებს ჩემპიონატს, მაგრამ ის გამართულ რაგბის თამაშობს — საჭირო მომენტში, საჭირო დროს.

„მამლების“ დამრიგებელი ბერნარ ლაპორტი თანამედროვე რაგბისთვის ამოუცნობი ფენომენია. იგი ძალიან გულახდილია, მაგრამ თან არავინ იცის, როგორ აზერხებს ნაკრების თამაშის ხარისხის ამ დონეზე ამაღლებას. მას მსოფლიოს თასის მოსაგებად ყველა ბერკეტი გააჩნია.“

**ზურაბ მიგრიაშვილი**




## ღმერთი ჯანზეა

**მსოფლიოს თასზე** საქართველოს მეტოქე ირლანდიას ხასიათი და შემადგენლობა გამოუკეთდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ კელტების კაპიტანი და სამშობლოში „ღმერთად“ წოდებული ბრაიან ოდრისკოლი სრულ ჯანზეა და მან გუშინ სრულფასოვნადაც ივარჯიშა.

გეხსომებათ, ორი კვირის წინ მსოფლიოს თასის წინა მოსათელი მატჩისას ოდრისკოლს ყვრიმალის ძვალი გაუტყდა. უფრო ზუსტად, ირლანდიელთა კაპიტანს ფრანგული „ბაიონის“ ტონგელმა მორკინალმა ჯგუფური ჩხუბისას გაუტეხა ყვრიმალის ძვალი.

„ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ. „ოდრის“ გარეშე ირლანდია ნახევარი გუნდია, ახლა კი არაფრის და არავისი გვეშინია. ნამიბიასთან ოდრისკოლს ალბათ არ ვათამაშებ, მას საფრანგეთთან და არგენტინასთან გადამწყვეტი მატჩებისთვის შევინახავ. ფორმაში რომ იყოს, ალბათ საქართველოსთანაც ვათამაშებდი, ოღონდ თავიდანვე თუ შეცვლაზე, ჯერ არ ვიცი“ — ეს ირლანდიის ნაკრების მწვრთნელის ედი ოსალივანის კომენტარია.

**ბაჩო სვანიძე**

## შავი ჭირი




**ახალზელანდიელთა** ბანაკში ტრავმების ეპიდემიამ იფეთქა. 2003 წლის მსოფლიოს თასზე „შავების“ კაპიტანი რუბენ სორნი და უკანახაზელი კონრად სმიტი მინიმუმ იტალიასთან სადებიუტო ჯახში ვერ ითამაშებენ. კონრად სმიტს გასული ორი სეზონის განმავლობაშიც პრობლემები ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ახლაც იტალიასთან შეხვედრის წინა ღამესლა გაირკვევა, თუ რამდენად სერიოზულია ტრავმა.

რუბენ სორნის ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა, ხოლო „ოლ ბლექსის“ კაპიტან რიჩი მაკქოუს რალაც სერიოზული ვირუსი შეჰყრია და ექიმებიც საიმედოს ვერაფერს ამბობენ. ახლა მაკქოუს ისღა დარჩენია, სიტყვიერად გაამხნევოს თანაგუნდელები: „ხანდახან ისე ხდება, რომ ვარსკვლავებით დახუნძლული ნაკრები წამყვანი მოთამაშეების გარეშე რჩება, მაგრამ მე მჯერა ჩემი თანამოძმეების ტალანტის და მათი შესაძლებლობების. მსოფლიოს თასის მოგება გუნდური სულისკვეთებით შეიძლება და არა ცალკეული მორაგბეებით“.

**ზურაბ მიგრიაშვილი**

US OPEN 2007

## ამერიკის ღია პირველობა 2007
ჰარდი. საპრიზო 20 000 000 $

# ახალი ფერები: ჯოკოვიჩი და ფერერი





AFP ნიუ იორკიდან

### კაცები
### მეოთხედფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — კარლოს მოია (17, ესპანეთი) 6:4 7:6 6:1;
**დავიდ ფერერი** (15, ესპანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (20, არგენტინა) 6:2 6:3 7:5

**საჩოგბურთო** ნიჭთან ერთად ნოვაკ ჯოკოვიჩს საკმაოდ კარგი მსახიობური მონაცემები და იუმორის გრძნობა ჰქონია — ახალგაზრდა სერბმა „არტურ ეშის" სახელობის კორტზე შეკრებილი მაყურებელი გუშინ არ მოაწყინა და უმაღლესი დონის ჩოგნაობასთან ერთად გვარიანადაც ამხიარულა. იგი ხან ისე ისწორებდა თმას, როგორც ამას შარაპოვა ჩამოწოდებების წინ აკეთებს ხოლმე, ხანაც ნადალის დარად ცმუკავდა და დახტოდა მორიგი მოგებული გათამაშების აღსანიშნავად.

„ბედნიერი ვარ იმით, რომ მაყურებელმა ეს ოხუნჯები ასე კარგად მიიღო. მარიასა და რაფას რომ ვბაძავდი, ამით სრულიადაც არ ვცდილობდი მათ დაცინვას, ამას არასდროს ვიზამ, რადგანაც ყველა კოლეგას პატივს ვცემ და, მით უმეტეს, ამნაირ ვარსკვლავებს. უბრალოდ, ემოციებს ასე გამოვხატავდი და იმედია, არავის ეწყინება" — ასე ახსნა თავისი საქციელი ჯოკოვიჩმა. მაგრამ თურმე ყოფილა ერთი, რომლის იმიტაციასაც ჯოკოვიჩი არ ცდილობს:

„როჯერი ხელშეუხებელია. ის ზედმეტად იდეალურია. მისი მიბაძვა არც ისე ადვილია".

მიბაძვა გამოუვა თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფედერერს ჯოკოვიჩი შეიძლება ძალიან მალე გადაეყაროს. საამისოდ სერბი ფინალში უნდა გავიდეს და ნოვაკმაც ამისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გუშინ გადადგა, როცა ნახევარფინალის საგზური კარლოს მოიას წაქცევით გაინაღდა. საამისოდ ჯოკოვიჩს დიდხანს წვალება არ დასჭირვებია, რადგანაც გამოცდილ ესპანელს ძალიან ადვილად, სამ სეტში გაუმკლავდა. მეტ-ნაკლებად დაძაბული მხოლოდ მეორე სეტი გამოდგა, როდესაც საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა — აქ მოიას სეტ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ბალკანელმა შეძლო და ყველაფერი სათავისოდ შემოატრიალა. მესამე პარტიის მოგებას კი სერბმა მხოლოდ 21 წუთი მოანდომა.

ჯოკოვიჩისთვის ეს ზედიზედ მესამე სასლემტურნირო ნახევარფინალია. წლეულს მან უკვე მოასწრო „როლან გაროსისა" და უიმბლდონის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა, მაგრამ ორივეჯერ რაფაელ ნადალთან დამარცხდა. ეს არც იყო გასაკვირი — პარიზში ნოვაკი უშანსოდ იყო, რადგანაც გრუნტზე ესპანელ ვარსკვლავიჭუნას სამი წელია ვერ ამარცხებენ და ლონდონში კი წვიმების მიზეზით სათამაშო გრაფიკის არევის გამო სერბს კუთვნილი შესვენების გარეშე მოუწია რამდენიმე მატჩის ჩატარება და მალიორკელთან სათამაშოდ იმდენად გასავათებული გავიდა, რომ სეტზე მეტი ვერ გაძლო და შეხვედრა ვერ დაასრულა. თუმც ამჯერად ჯოკოვიჩი თავის ბოროტ ბედისწერას ასცდა, რადგანაც ნადალმა ნახევარფინალამდე ვერ მიატანა. ამიტომაც სერბს ფინალში გასვლისა და ფედერერთან დუელის გამართვის კარგი შანსი აქვს.

ოღონდ სულ სხვანაირად ფიქრობს დავიდ ფერერი, რომელიმაც კარიერაში პირველად უწია სლემტურნირის ნახევარფინალს და ყველაფერს გააკეთებს უფრო წინ გასასვლელად. გასაკვირი კი ის არის, რომ ესპანელმა ამ წარმატებას ჰარდზე მიაღწია. აქამდე იგი მაგარსაფარზე კარგი შედეგებით არასდროს გამოირჩეოდა და, ყველა პირინეელის მსგავსად, უპირველესად გრუნტის სპეციალისტად ითვლებოდა.

ასეა თუ ისე, წლეულს ფერერი „ფლეშინგ მედოუზზე" მშვენივრად გამოიყურება, გზად დავიდ ნალბანდიანი და თავად რაფაელ ნადალი ჩამოიცილა და ჯოკოვიჩსაც ომის გამართვას ჰპირდება. გუშინ კი ფერერის გაჩერებას ხუან-იგნასიო ჩელა ცდილობდა, მაგრამ ვერას გახდა და სამ სეტში განადგურდა. არგენტინელს მხოლოდ მესამე სეტში მიეცა მატჩში ინტრიგის შეტანის შანსი, როცა თავიდანვე 2:0 დაწინაურდა, მაგრამ ფერერმა მალევე გაათანაბრა ანგარიში, 5:5-ზე კი გადამწყვეტი ბრეიკი გააკეთა და თამაში 2 საათში მოამთავრა.

ფერერი მეოთხე ესპანელია, ვინც აშშ-ს ღია პირველობის ნახევარფინალში ითამაშებს. აქამდე იგივე 1975 წლის ჩემპიონ მანუელ ორანტესს, 1998 წლის ნახევფინალისტ კარლოს მოიასა და 2003 წლის ფინალისტ ხუან-კარლოს ფერეროს გაუკეთებიათ.

**ქახა ლომჯარიძე**

# ბელარუსული შერეული

**აშშ-ს** ღია პირველობა მიქსში შერეულ წყვილებში) ბელარუსებმა — მაქს მირნიმ და ვიქტორია აზარენკამ მოიგეს. მათ ფინალში ამერიკელ მეგან შონესისა და ინდოელ ლეანდერ პაესის წყვილი დაამარცხეს 6:4 7:6.

ეს წარმატება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 18 წლის აზარენკასთვის არის. ბელარუსი გოგონა, რომელიც დევისის თასზე მირნის თამაშებს ემსახურებოდა ხოლმე ბურთის მიმტანის რანგში, ახლა მირნის გვერდზე თამაშობს და აგერ, თავისი პირველი სლემტურნირიც მოიგო. აზარენკა ნამატჩევს სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო:

„ჯერ ხეირიანად ვერ გამიაზრებია, რომ სლემტურნირის ჩემპიონი ვარ. მგონი, ცოტა დრო დამჭირდება".

30 წლის მირნისთვის კი ეს წყვილებსა და მიქსტში მოგებული მე-7 სასლემო ტროფეი გახლავთ.

**ქახა ლომჯარიძე**



მაქს მირნი და ვიქტორია აზარენკა

AFP ნიუ იორკიდან



# კალაშნიკოვამ ნახევარფინალს მოარტყა

**17 წლის** ოქსანა კალაშნიკოვა აღარ ხუმრობს — უნიჭიერესი ჩოგბურთელი ამერიკის ღია პირველობის გოგონათა შეჯიბრის ნახევარფინალშია და აქედან ტიტული, უკვე ორი ხელის გაწვდენაზეაა.

გუშინ ჩვენებურმა, მიუხედავად პირველი სეტის წაგებისა, ახალზელანდიელ საშა ჯონსს 1:6 6:2 6:3 მაინც მოუგო, მეოთხედფინალიც განვლო და ნახევარფინალში სლოვაკ კრისტინა კუსოვაზე გავიდა.

ოქსანაზე თვეებით უფროსმა კრისტინამ მეოთხედფინალში პირველ ნომრად განთესილი რუსი ანასტასია პავლიუჩენკოვა 7:5 6:1 გაანადგურა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ WTA-ს რეიტინგში კუსოვა კალაშნიკოვაზე მაღლა, 613-ე საფეხურზე იმყოფება.

# მოკითხვა ბაქოდან
## ქართველებმა რუსები კასპიის ზღვას გაატანეს

**ბაქოში** დასასრულს მიუახლოვდა ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 10-ათასიანი ტურნირი, რომელიც წინ უსწრებს საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, თელავსა და ბათუმში გასამართი ტურნირების სერიას.

ბაქოს შეჯიბრის ძირითად ბადეში ერთბაშად ათი ქართველი ჩოგბურთელი იყო. ამათგან სამმა ეს უფლება საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშით მოიპოვა — თათია მიქაძემ, სოფო შარანგიამ და სალომე ალადაშვილმა. კიდევ ორმა ქართველმა კვალიფიკანტმა ნათია გვეიამ და ია ჯიქიამ საკვალიფიკაციო შეჯიბრის მეორე წრეში წააგეს.

ძირითად ბადეში პირველ ნომრად სოფო შაფათავა იყო განთესილი. მანანა შაფაქიძეს მეოთხე ნომერი შეხვდა, ეკა გორგოძეს — მეხუთე, ხოლო სოფო ქვაცაბაიას — მეშვიდე. ამათ გარდა ძირითად ბადეში თეონა ცერცვაძე, თინა ყაველაშვილი და მარიამ ქურდაძეც იყვნენ.

პირველ წრეში ორი ქართული დერბი შედგა — შაფათავამ ცერცვაძეს 6:1 6:0 მოუგო, ხოლო შაფაქიძემ 6:2 6:1 დაამარცხა ქურდაძე. დანარჩენი ექვსი ჩვენებურიდან მხოლოდ ორი დამარცხდა: ალადაშვილმა მე-3 ნომრად განთესილ რუს აუგუსტა ციბიშევასთან 2:6 3:6 წააგო, ხოლო შარანგიას ბელარუსმა ჰანა მალახოვიჩმა 6:2 6:2 სძლია. ყაველაშვილმა 6:1 6:3 დაჯაბნა რუსი დარია შილინა, გორგოძემ 6:0 6:0 გაანადგურა მეორე რუსი ქსენია მიხაილოვა, ქვაცაბაიამ 6:7 6:2 6:2 მოუგო კიდევ ერთ რუს ირინა კოტკინას, ხოლო მიქაძემ 6:1 6:1 დაჯაბნა ასევე რუსი ვალენტინა პონომარცევა.

მეორე წრეში ერთი ქართული დაპირისპირება იყო და ყაველაშვილმა 7:6 7:5 მოუგო გორგოძეს. შაფათავამ 6:1 6:1 დაჯაბნა მალახოვიჩი, შაფაქიძემ რუს ანასტასია პუტილინას 2:6 6:1 6:3 სძლია, ქვაცაბაიამ 6:3 6:1 დაჯაბნა კიდევ ერთი რუსი ოლგა მაკოვა, ხოლო მიქაძემ ალადაშვილის მჯობნელ ციბიშევას, რომელიც, შეგახსენებთ და აგრეთვე რუსი გახლავთ, 6:2 6:2 მოუგო.

ამრიგად, მეოთხედფინალში ერთბაშად ხუთი ჩვენებური გავიდა. მათგან ოთხნი ბადის ზედა ნახევარში იყვნენ და შედეგად, ორი ქართული მეოთხედფინალი მივიღეთ — ყაველაშვილმა 6:3 6:4 აჯობა შაფათავას, ქვაცაბაიამ კი 6:2 6:4 აჯობა შაფათავას. ბადის ქვედა ნაწილში იყოჩაღა კვალიფიკაციიდან წამოსულმა მიქაძემ, რომელმაც, ნუ გაგიკვირდებათ და, კიდევ ერთ რუსს, მარინა მელნიკოვას 7:5 6:3 სძლია და ნახევარფინალში უკრაინელ ლესია ცურენკოზე გავიდა.

ფინალი ქართული მაინც ვერ გამოვიდა — ბაქოში ზედიზედ ექვსი თამაშის მომგებმა თათია მიქაძემ ნახევარფინალში 1:6 0:6 წააგო ცურენკოსთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 954-ე პოზიცია უკავია. დღეს უკრაინელს ყაველაშვილი დაუპირისპირდება გადამწყვეტ ჯახში. თინამ მორიგ ქართულ დერბიში 4:6 6:2 6:1 დაჯაბნა სოფო ქვაცაბაია.

ᲞᲚᲐᲟᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲒᲔᲝᲠ-ᲒᲘᲐ ᲕᲐᲨᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ




**ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ** ქალაქ სტარე იაბლონკიში, ჩვენებურად ალბათ ძველი ვაშლის ბაღს რომ ნიშნავს, პლაჟბურთელთა მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე მხოლოდ ვაჟები თამაშობენ. ქართულმა წყვილმა გეორ-გიამ უკვე ხუთი შეხვედრა ჩაატარა და აქედან ოთხი მოიგო. მეთერთმეტე ნომრად განთესილმა ჩვენმა დუეტმა ტურნირი შედარებით დაბალ რეიტინგიანი ჰოლანდიელების, დუგრუიტერისა და რონესის ძლევით დაიწყო — 2:1 (20:22 21:18 15:12), მაგრამ მეორე რაუნდში მეექვსე ნომრად განთესილ დოპლერი-გარმაიერის ავსტრიულ წყვილთან 0:2 (17:21 18:21) წააგო. ეს ორი შეხვედრა გუშინწინ ჩატარდა. გუშინდელი დღე კი გეორ-გიასთვის მშვენიერი გამოდგა. ჯერ იყო და, გერმანელებს, ჰუტ-შნეიდერს, დასწყვიტეს გული — 2:0 (21:15 21:11), შემდეგ ზედ ჰოლანდიელები, ბოერსმა და რონესი მიაყოლეს — 2:1 (21:18 24:26 15:13), ხოლო დღის ბოლოს ტურნირის მერვე ნომრები, ავსტრიელი გოში და ჰორსტიც დაჩაგრეს — 2:0 (21:17 21:16).

ამრიგად, ქართულ წყვილს მინიმუმ მეცხრე ადგილი განაღდებული აქვს. უფრო წინ წასაწევად კი პირველ ბარიერთან მეოთხე ნომრად განთესილ გერმანელებთან — ბრინკთან და დიკმანთან მოუწევთ ბრძოლა.

**ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔ**

ᲙᲠᲘᲕᲘ

# ᲗᲐᲕᲐᲫᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲘᲐᲓᲒᲐ

**ᲙᲐᲓᲔᲢ ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲔᲗᲐ** მსოფლიოს ჩემპიონატს შერჩენილმა ერთადერთმა ქართველმა რომან თავაძემ გუშინ მორიგი ბრძოლა მოიგო და ჩემპიონობას კიდევ უფრო მიუახლოვდა. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჩხუბარმა ჩვენებურმა გუშინ ბაქოს რინგზე საოცარი ბრძოლა გადაიტანა ყაზახ იერლან სეიდალიევთან, 15:14 მოიგო და ფინალში გავიდა.

ოქროს ბრძოლები დღეს გაიმართება. რომანის მეტოქე კუბელი რეი პლატი იქნება, რომელმაც ნახევარფინალში ავსტრალიელი ზაკ დუნი ჩამოიცილა — 28:14.

**ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔ**

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

la vuelta'07 del 1 al 23

## ᲕᲣᲔᲚᲢᲐ-2007
## ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. 1-23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

# ᲪᲐᲑᲔᲚᲘᲡ 148-Ე

**„ᲕᲣᲔᲚᲢᲐᲡ“** მეშვიდე ეტაპის ფინიშამდე 62 კილომეტრით ადრე პრადო როზენდოსა და გარსია დე მატეო რუბიოს დუეტი პელოტონს ცხრა წუთზე მეტს უგებდა. ეს უპირატესობა ნელ-ნელა დადნა და უკვე სარაგოსას ქუჩებში, ფინიშამდე სამიოდე კილომეტრიღა რომ რჩებოდა, ქარავანმა გაქცეულები ჩაყლაპა. იქვე ზედახორაც მოხდა და ამ ზედახორას ხუთი მრბოლიღა დაუსხლტა. ამ ხუთეულში ერიკ ცაბელიც იყო და დიდმა გერმანელმაც, რომელიც ბოლო ხანებში ამაოდ ცდილობდა სუპერრბოლებზე ეტაპის მოგებას, თავისი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და კარიერაში 148-ე გამარჯვება მოიპოვა.

რადგანაც ზედახორა ფინიშის სიახლოვეს მოხდა, ყველას გამარჯვებულის დრო ჩაეწერა და საერთო ჩათვლაში სურათი არ შეცვლილა — წინ, ისევ რუსი ვლადიმირ ეფიმკინია, მაგრამ დღეს 52-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა და ეს ეტაპი გენერალურ კლასიფიკაციაში გვარიან ცვლილებებს შეიტანს.



| ᲛᲔ-7 ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲙᲐᲚᲐᲰᲝᲠᲐ — ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲡᲐ. 176 ᲙᲛ | |
|---|---|
| 1. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | 31 სთ 52 წთ 5 წმ |
| 2. ალან დევისი (ავსტრალია, „დისქავერი") | |
| 3. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") | |
| 4. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | |
| 5. ანდრეა კორფი (გერმანია, „T-მობაილი) | ყველას იგივე დრო |
| **ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ** | |
| 1. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, „კაისე დეპარნი") | 28 სთ 26 წთ 56 წმ |
| 2. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +1წთ და 6 წმ |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | |
| 4. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, „კოფიდასი") | |
| 5. კრისტიან დევოლდერი (ბელგია, „დისქავერი") | ყველას იგივე ჩამორჩენა |

ᲐᲕᲢᲝᲠᲑᲝᲚᲐ

Formula 1

**XV ᲔᲢᲐᲞᲘ** **ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ**

**ᲐᲣᲢᲝᲓᲠᲝᲛᲝ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔ**

*ᲛᲝᲜᲪᲐ, 9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ*



ᲢᲠᲐᲡᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ ---------------------------------- 5.793 ᲙᲛ
ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ ---------------------- 53 ᲬᲠᲔ — 306.720 ᲙᲛ

*ᲠᲑᲝᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ 16 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ*

**ᲨᲐᲠᲨᲐᲜ**: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 კუბიცა (BMW-ზაუბერი); 4 ფიზიკელა (რენო); 5 ბატონი (ჰონდა); 6 ბარიკელო (ჰონდა); 7 ტრული (ტოიოტა); 8 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)

**ᲬᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ**: 2004 — ბარიკელო 1.21,046 (257,3კმ/სთ)


AFP მონტაჟი

# ᲨᲔᲮᲔᲓᲔ, ᲛᲝᲜᲪᲐᲐ: ᲔᲡᲐᲐ, ᲠᲐᲪᲐᲐ

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ** ჩრდილოეთით, მილანის მახლობლად 1922 წელს განსაცვიფრებლად მოკლე დროში, სულ რაღაც 110 დღეში აგებული „აუტოდრომო ნაციონალე“ ხვალ 57-ედ უმასპინძლებს „სამეფო მრბოლებს“. მერამდენედ აღვნიშნავთ, რომ მონცას ისტორიული ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაყვანილი ტრასა დღესაც ყველაზე ჩქაროსნულია — სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი — 368 კმ/სთ კოლუმბიელ ხუან-პაბლო მონტოიას ეკუთვნის და „მაკლარენ-მერსედესითაა“ დამყარებული.

მობერებული „მონცა“ სხვა მხრივაცაა საგინესო, იქ ყველაზე მეტი, 56 საპირველფორმულო ეტაპი ჩატარდა. ერთადერთხელ, 1980 წელს, მონცა იმოლამ შეცვალა, თორემ მიღწევა აბსოლუტური, ასპროცენტიანი იქნებოდა.

აქვე მომგებებზეც ვთქვათ. ყველაზე მეტი, ხუთი გამარჯვება აქვს მსოფლიოს შვიდგზის გვირგვინოსან მიხაელ შუმახერს. დღევანდელებიდან მონცაში მხოლოდ ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს „ფერარით“ (2002, 2004) და „მაკლარენიან“ შოტლანდიელ დევიდ კულჰარდს (1997) გაუმარჯვიათ.

ამჯერადაც ფავორიტებად ამ ორი საჯინიბოს პილოტები, ოღონდ სხვები ითვლებიან. მით უმეტეს, რომ წლევანდელ თორმეტივე რბოლა სწორედ ამ ოთხეულმა — ფელიპე მასა, კიმი რაიკონენი, ლუის ჰემილტონი, ფერნანდო ალონსო — მოიგო, თანაც თანაბრად, ოთხივემ სამსამი დიდი პრიზი დაისაკუთრა.

შეგახსენებთ, რომ გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი, 22 წლის ახალბედა ჰემილტონი სეზონის ფინიშამდე ხუთი ეტაპით ადრე ხუთი ქულით უსწრებს თანამაკელ ჩემპიონ ალონსოს, ხოლო ფერარელები მათ გვარიანად ჩამორჩებიან. თუმც „წითლები“ იხტიბარს არ იტეხენ — მონცაც და დარჩენილი სხვა ტრეკებიც ჩვენი მანქანებისთვის ზედგამოჭრილიაო და ლამის ყველა გრან პრის მოგებას გეგმავენ.

ვნახოთ, ხვალ წლევანდელი მე-13 რბოლა ვისთვის აღმოჩნდება ბედნიერი.

წინა, თურქულ ეტაპზე დუბლით მომგებ სკუდერიელებთან შერცხვენის მიუხედავად, მაკელები სახვალიოდ იმედიანად არიან, მონცაში უფრო სწრაფები ვიქნებითო. არცაა გასაკვირი, „ვერცხლისფერისრებს“ ოპტიმიზმის საფუძველი აგვისტოს ბოლოს სწორედ „აუტოდრომო ნაციონალეზე“ ოთხდღიანმა ტესტებმა გაუღვივა, ოთხივე დღეს ხომ „მაკლარენი“ გაცილებით სწრაფი იყო „ფერარიზე“.

თითქმის ექვსკილომეტრიან ტრეკზე გუშინ პირველი თავისუფალი ვარჯიშისას ყველას რაიკონენმა და მასამ აჯობეს. ჰემილტონი და ალონსო მათ მცირედ ჩამორჩნენ.

ორი საათის შემდეგ მეორე გასვლაზე ალონსომ და ჰემილტონმა რევანში აიღეს. მასა მხოლოდ მეექვსე იყო, რაიკონენი — მერვე.

**ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ**

საქართველოს ნაკრები, მისი ხელმძღვანელობა და გულშემატკივარი ჯერაც მწვავედ განიცდიან ისლანდიაში მარცხს, რამაც ჩვენი ეროვნული გუნდი B დივიზიონში ჩატოვა. არადა, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ნაკრებმა შეკრებაც ხანგრძლივი გაიარა და მოსამზადებელ მატჩებშიც იყოჩაღა, მაგრამ ისლანდიაში დაუცდა ფეხი და მთელი ნაჯაფი წყალში ჩაიყარა. ეს დღეებია, დამნაშავის ძებნა მიდის — უფრო სწორად, იმ მიზეზების, რის გამოც ელიტაში გადასვლა ვერ მოვახერხეთ. მაგალითად, ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი მთავარი მწვრთნელისკენ იშვერს ხელს, გუნდის აღიარებული ლიდერი ზაზა ფაჩულია კი ამბობს: როგორი პირობებიც გვქონდა, შედეგიც ისეთი მივიღეთო. ნაკრებს პირობებს ფედერაცია უქმნის, რომელმაც მთლიანობაში ერთთთვიანი შეკრება მოუწყო შილდსის გუნდს საფრანგეთში, ბულგარეთსა და პორტუგალიაში. ერთი სიტყვით, დამნაშავის ძებნა უაზრობამდე მიდის და, სიმართლე ითქვას, არცაა საჭირო, რადგან, ცხადია, რომ წარუმატებლობაში ყველას მიუძღვის თავისი წილი დანაშაული. ვიღაცამ ფარი ვერ გადაკეტა, ვიღაცამ ჯარიმა არასწორად აილო, ვიღაცამ უგემური მენიუ შეადგინა, ვიღაც შეკრებაზე არ ჩამოვიდა... თავის წილ პასუხისმგებლობას არ გაურბის კალათბურთის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს გუშინ გავესაუბრეთ...

# ფედერაციამ ფაჩულიას ბრალდებები არ მიიღო

## ბესიკ ლიპარტელიანი: ყველამ ჩვენ-ჩვენ შეცდომებზე ვიფიქროთ



ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი კარგი შანსი ვერ გამოვიყენეთ. ასეთი შესაძლებლობა კარგა ხანი აღარ გვექნება. ჯგუფში მეტოქეებიც ნორმალური გვყავდა, კალენდარიც ჩვენს სასარგებლოდ იყო შედგენილი, პლეი ოფშიც შედარებით სუსტი შვეიცარია ან რუმინეთი გვხვდებოდა, მაგრამ, რად გინდა, ისლანდიაში დავმარცხდით და ყველაფერი გავანიავეთ.

**— ვისი ბრალია ეს მარცხი და პასუხისმგებლობა ვინ უნდა აიღოს?**

— კონკრეტულად დამნაშავე არავინაა. ფედერაცია, მწვრთნელები, მოთამაშეები, შეკრებაზე დაგვიანება და ან სულაც არჩამოსვლა... ვფიქრობ, ბრალი ყველას და ყველაფერს მიუძღვის

ახლა ცხელ გულზე ვლაპარაკობთ. ვფიქრობ, ცოტა ხანი უნდა გავიდეს, რომ ყველაფერი გავაანალიზოთ და ავწონ-დავწონოთ.

**— მოთამაშეების ჩამოუსვლელობა ახსენეთ და რას იტყვით ნიკა ცქიტიშვილის დასჯაზე, რომელიც ისლანდიაში არ წაიყვანეს, ხოლო მასავით უვარჯიშებელი ვლადიმირ ბოისა იმ მატჩში 30 წუთზე მეტხანს იყო მოედანზე?**

— ცქიტიშვილი არავის არ დაუსჯია. იგი ჩვენ ლუქსემბურგში მოგვყავდა, მაგრამ თბილისში არ ჩამოვიდა, რომ ვიზა გაეკეთებინა და ისლანდიაში ელემენტარულად ვერ წავიყვანდით.

**— ნიკა თბილისში ლუქსემბურგთან მატჩამდე 4-5 დღით ადრე ჩამოვიდა...**

— თავიდან ბოლომდე მოგიყვებით მის ამბავს, რადგან არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ ჩვენ ნიკა ნაკრებიდან მოვკვეთეთ. თავდაპირველად ის დაგვპირდა, რომ 27 ივლისს ჩამოვიდოდა თბილისში, აიღებდა ვიზას და ნაკრებს საფრანგეთში შეუერთდებოდა.

**— შეგაწყვეტინებთ. ვიზას მთლიანი გუნდი არ იღებს ერთად?**

— თუ ადამიანი ფიზიკურად არ მივა, საფრანგეთის საელჩო ვიზას არ გასცემს. ჩვენ ყველა საბუთი შევუგროვეთ ნიკას, მაგრამ თუ საელჩომ თითის ანაბეჭდი არ აიღო, ვიზას არ იძლევა. საფრანგეთის საელჩო გასცემს ისლანდიის და ლუქსემბურგის ვიზებსაც, ანუ ცქიტიშვილი თბილისში რომ არ ჩამოსულიყო, ამ დოკუმენტებს ვერ მიიღებდა. ნიკამ დაგვირეკა და გვითხრა, კლუბს ვეძებ და აგვისტოს დასაწყისში ჩამოვალო. არ ჩამოვიდა და თარიღმა 10 აგვისტომდე გადაიწია. ათშიც რომ არ ჩამოვიდა, შევეხმიანეთ, მაგრამ ტელეფონი მუდმივად გათიშული ჰქონდა, ვერანაირად ვერ დავუკავშირდით. მის სიძეს, ნაკრების კაპიტან ვახტანგ ნაცვლიშვილს ვთხოვეთ, დაგვეხმარებოდა, რომელმაც სიტყვა მიაწვდინა ნიკას, რომ როცა არ უნდა ჩამოსულიყო თბილისში, რა თქმა უნდა, თამაშების დაწყებამდე პერიოდი იგულისხმება, მისულიყო საელჩოში, აელო ვიზა და ნაკრებს საფრანგეთში შეერთებოდა. ისე ვითამაშეთ ლუქსემბურგთან, რომ იგი არ გამოჩენილა. 22 თუ 23 აგვისტო იყო, ცქიტიშვილის მანქანა კალათბურთის აკადემიასთან დავინახე და მერე, როცა მწვრთნელებში მოვიკითხე, მითხრეს, „ცქიტომ" ივარჯიშა და წავიდაო. რა ნომრებიც ვიცოდით მისი, ყველგან დავურეკეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. სახლში გვეუბნებოდნენ, ძმაკაცთანააო, მაგრამ მეგობრებშიც ვერ მივაკვლიეთ და შევეშვით.

**— ბოლოს და ბოლოს, ხომ ნახა მწვრთნელმა ცქიტიშვილი...**

— ავსტრიასთან მატჩამდე 2 დღით ადრე ნიკამ დამირეკა და მკითხა, ნაკრებს თუ ვჭირდებიო? ეგ მწვრთნელის გადასაწყვეტია, იმას დაელაპარაკე-მეთქი. ჰოდა, შილდსიც ამის შემდეგ ნახა, ავსტრიელებთან მატჩის წინა ვარჯიშზე. შილდსმა უთხრა, ხვალ ვერანაირად ვერ გათამაშებ, ერთხელ არ გივარჯიშია ნაკრებში. ვერც ისლანდიაში მოდიხარ, ვიზა არ გაქვს და იქიდან რომ ჩამოვალთ, მოდი, ივარჯიშე და თუ ჩვენი თამაშის მანერას მალე აუღებ ალღოს, მომდევნო მატჩებში გათამაშებო. ისლანდიაში წავაგეთ, ცქიტიშვილი კი აღარ გამოჩენილა. რაც შეეხება ბოისას, მისი ოჯახური ამბები ყველამ იცით და როცა თქვა იმ კაცმა, იმ დღეს ჩამოვიდა. ჩამოსულიყო ნიკა თუნდაც 18-19 აგვისტოს, აელო ვიზა და ლუქსემბურგშიც იქნებოდა და ისლანდიაშიც.

**— ბოისას არ დასჭირდა ვიზისთვის თბილისში ჩამოსვლა?**

— ბოისა სლოვენიის მოქალაქეცაა და არანაირი ვიზა არ სჭირდება ევროპაში სამოგზაუროდ.

**— რას იტყვით ზაზა ფაჩულიას განცხადებაზე, როგორი პირობებიც იყო, შედეგიც ისეთი მივიღეთო.**

— ზაზას ბრალდებებს ვერანაირად ვერ მივიღებ. ჩვენ შესაძლებლობების ფარგლებში ყველა პირობა შევუქმენით ნაკრებს და მერწმუნეთ, არაფერი არ დაგვიკლია. თუკი ვინმეს რამე არ მოსწონდა, ჯობდა, მაშინვე ეთქვა, ვიდრე ეს მაშინ გამოეცხადებინა, როცა ისლანდიაში წავაგეთ და ჯგუფში ჩავრჩით. მერელა გავიგე, რომ ვიღაცას მწვრთნელი არ მოსწონდა, ვიღაცას — პირობები.

**— ვლადიმერ სტეფანიამაც თქვა, ნაკრებში მინდოდა ჩამოსვლა და არ მიმიღესო...**

— ჩემი აზრით, რაც სტეფანიამ თავის დროზე გააკეთა, იმის გამო რომ დასჯილიყო, ეს მაგალითი იქნებოდა სხვებისთვის და ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე ლაპარაკს ახლა ვერავინ ვერ გაბედავდა. ხომ გახსოვთ, როგორ გვიშრობდა სტეფანია სისხლს. მთელი რვა წელი ნბა-ში თამაშობდა და ნაკრების მატჩების დრო რომ მოატანდა, ხან რა და ხან რა მიზეზით არ ჩამოდიოდა. მაშინ ის რომ სათანადოდ დასჯილიყო ამის გამო, ვიმეორებ, დღეს ნაკრებში ჩამოუსვლელობის პრობლემა აღარ იქნებოდა.

**— რას იტყვით კენ შილდსზე, კმაყოფილი ხართ მისი მუშაობით?**

— შილდსი ძალიან გამოცდილი და კომპეტენტური მწვრთნელია და თავად აღიარა, რომ ისლანდიაში გარკვეული შეცდომები დაუშვა. მან პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. მისი კონტრაქტი ამოიწურა და ის უკვე სამშობლოშია. ჯერ არ ვიცით, ის იქნება მწვრთნელი, თუ სხვას მოვიწვევთ. შილდსმა დაინახა თავისი შეცდომები, ამასვე ვურჩევ სხვებსაც. ყველამ საკუთარ გულში ჩაიხედოს.

**— ბატონო ელისი?**

— ის უცხოელია და არავისზე ნაკლები შემართებით არ უთამაშია. მას 4-წლიანი კონტრაქტი აქვს ჩვენთან, რომლის ნახევარიც ამოიწურა. ელისი მინიმუმ 2 წელი კიდევ დარჩება საქართველოს ნაკრებში, მერე კი ვნახოთ.

**ირაკლი ბერტაია**

*ავტორის ფოტო*

# რუსთაველმა საზღვრები ჩაკეტა

## აზოტი ევროთასზე ქართული კლუბების ნაკრებით გავა

**ხუთწლიანი** შესვენების შემდეგ ქართული გუნდი ევროსარბიელს უბრუნდება. რუსთავის „აზოტმა" რომ ევროთასზე თამაშის სურვილი გამოთქვა და ფიბა-ევროპაში სამონაწილეო განაცხადი შეიტანა, არახალია. ცნობილია ქვემოქართლელთა მეტოქეც პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში — ჰოლანდიური „ასტრონავტსი", რომელსაც „აზოტი" პირველ მატჩს 30 ოქტომბერს გაუმართავს. თუმცა აქ ჰოლანდიელებზე კი არა, რუსთაველებზე უნდა გიამბოთ. ცხადია, ყველას აინტერესებს, რა გუნდით აპირებს „აზოტი" ევროსარბიელზე გასვლას.

რუსთაველებმა ევროსურვილი რომ გაამჟღავნეს, ყველამ ის იფიქრა, ქვემოქართლელები ძლიერი გუნდის გაკეთებას აპირებენო. ძლიერი ევროგაგებით, თორემ „აზოტი" რომ გასულ სეზონში ყველა ქართულ გუნდს ჯობდა, ჩემპიონატის ფინალურმა სერიამაც გამოაჩინა. იმთავითვე ითქვა, რომ რუსთავში ლეგიონერებს ჩამოიყვანდნენ და გუნდი ევროსარბიელზე თავისი სიტყვის თქმას შეეცდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, კარგი იდეა იყო, მაგრამ სამწუხაროდ, არ განხორციელდა — ევროთასის დაწყებამდე ლამის 2 თვე კია, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ „აზოტი" ლეგიონერების გარეშე ეცდება წარმატების მიღწევას.

„ლეგიონერებით აღარ გაეძლიერდებით. ევროთასის თამაშებისთვის ქართული კლუბებიდან დავიმატებთ კალათბურთელებს — გვითხრა „აზოტის" თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა**, რომელიც აქამდე ეროვნულ ნაკრებში იყო დაკავებული და კლუბში მუშაობას ორიოდ დღის წინ შეუდგა — ეს ცნობილი მეთოდია. ადრე „ვითა", „კაკტუსი" და „აზოტი" რომ გამოდიოდნენ ევროთასებზე, რომელ მოთამაშესაც უნდოდათ, იმას იმატებდნენ ქართული გუნდებიდან. იმედია, უარს არავინ იტყვის, რომ საერთაშორისო მატჩებში დაგვეხმაროს".

რუსთაველებმა ვარჯიში 1 აგვისტოდან დაიწყეს. მათ გუნდში რამდენიმე ცვლილება მოხდა. ვერ ვიტყვით, „აზოტი" გაძლიერდაო: კოტე ტულუშისა და გიორგი მარკოიშვილის ნაცვლად ქვემოქართლელებმა „ავიატორის" ზვიად ბაბიაშვილი და თსუ-ელი ბესო ლეჟავა შეიმატეს. ვლადიმერ ბეჟანიშვილი და ვახტანგ მინაშვილი „ვითაში" წავიდნენ, ხოლო დავით უგრეხელიძისა და ლაშა გამყრელიძის წასვლა-დარჩენის საკითხი ჯერ არ გარკვეულა. დანარჩენები ძველები არიან: რამაზ გოგობერიშვილი, ანატოლი ბოისა, ქოლივერ ტუჯანი, გეგი ლიპარტელიანი, ლევან ცეკვავა და რევაზ დიდია. როგორც უსტიაშვილმა გვითხრა, შესაძლოა, იური დანელიანიც დაიმატონ, რომელიც „აზოტში" ადრეც თამაშობდა, თუმცა გასულ სეზონში უგუნდოდ იყო.

როგორც ხედავთ, „აზოტი", ფაქტობრივად, ისევ ის გუნდია და თუ კიდევ არავინ შეიმატა, შესაძლოა, ჩემპიონობის შენარჩუნება გაუჭირდეს. ევროთასზე კი, როგორც უკვე ვთქვით, რუსთაველები ქართულ კლუბებში გამწეულ საუკეთესო მოთამაშეებს დაიმატებენ.

**ირაკლი ბერტაია**



**ევროპის ჩემპიონატი**
**ესპანეთი**
**3–16 სექტემბერი**

**მეორე ჯგუფური ეტაპი**

E ჯგუფი

**პორტუგალია 65:78 რუსეთი**
**ისრაელი 80:75 ხორვატია**
**ესპანეთი 76:58 საბერძნეთი**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# გამანადგურებლებით დაწყებული, განადგურებით დასრულებული

„სტად დე ფრანსს" გუშინ ფრანგულმა გამანადგურებლებმა გადაუფრინეს და ეს გახლდათ ნიშანი რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებისა.

ძალიან კარგი გახსნის ცერემონიალი იყო. უკეთესი? ფეხბურთის ჩემპიონატების გახსნას თუ გავიხსენებთ, უკეთესებიც ამოტივტივდება გონებაში, მაგრამ ეს მაინც ყველაზე მაგარი გახსნა იყო, რაკი ჩვენც იქ ვიყავით.

დიახ, იქ ვიყავთით არა როგორც მსოფლიოს ნაწილი და მაყურებელი, არამედ როგორც ამ ზეიმის უშუალო მონაწილე და ამ დროს ზეიმს სულ სხვა გემო აქვს. შორიდან კი არ უყურებ და იქ ყოფნას შენატრი, იქვე ხარ და იქ ყოფნით ამაყობ.

დიდებულია, ოლიმპიურ თამაშებზე შენი მედროშე რომ გამოდის და უკან შენი სპორტსმენები მიჰყვებიან, მაგრამ ისიც იცი, რომ იქ რაც მეტი, მით უკეთესიო, ეგეთი პრინციპი აქვთ. აქ კი, რაგბის მსოფლიოს თასზე სულ ოცნი არიან მსოფლიოს ორასზე მეტ ქვეყანას შორის და იმ ოცში ერთი შენც რომ ხარ, ამას მართლა სხვა ფასი აქვს.

გუშინ ჩვენი, სიკვდილისად მონათლულ ჯგუფში საფრანგეთ — არგენტინის სენსაციური თამაშით მსოფლიოს თასი დაიწყო. ჩვენ კი, ისევ და ისევ სიამაყით ვთქვათ, რომ ჩვენი ბიჭებიც იქ არიან...







საფრანგეთის წინა და ახლანდელი პრეზიდენტები: ჟაკ შირაკი და ნიკოლა სარკოზი

AFP პარიზიდან







## ფეხბურთი

### ინგლისი

| I ლიგა. V ტური | II ლიგა. V ტური |
|---|---|
| ბრაიტონი 3:0 მილუოლი | ჩესტერი 0:1 მორიკომბი |
| ნორთჰემპტონი 2:0 დონკასტერი | ჩესტერფილდი 3:1 ბერი |
| | ლინკოლნი 1:2 ბრედფორდი |
| | დონსი 3:0 ნოტსი |

### ჰოლანდია

II დივიზიონი. VI ტური

| | |
|---|---|
| ვეენდამი 4:1 ეინდჰოვენი | მაასტრიხტი 4:1 სიტარდი |
| კამბური 2:1 ვოლენდამი | ზვოლე 4:1 დენ ბოსხი |
| ტელსტარი 1:4 დორდრეხტი | დენ ჰააგი 2:2 ემენი |
| ჰელმონდი 1:1 ჰაარლემი | როზენდალი 0:2 იგლსი |
| ომნიორდი 4:0 ოსი | აპელდორნი 2:6 ვალვაიკი |

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

უოტერფორდი 0:0 ბრეი
გალვეი 1:1 ტროკედა
დერი 1:0 სტ. პატრიკსი
ლონგფორდი 1:1 სლიგო

### იტალია

სერია B. III ტური

ასკოლი — რიმინი
გადაიდო

### დანია

I დივიზიონი. VI ტური

სიონდერისკე 2:2 კოლდინგი

### ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UEFA UNDER21 CHAMPIONSHIP

| | |
|---|---|
| ჩერნიგორია 0:3 ინგლისი | საფრანგეთი 1:0 უელსი |
| სან მარინო 1:5 უნგრეთი | ბელგია 0:1 ავსტრია |
| ისრაელი 3:0 ლუქსემბურგი | ნორვეგია 0:1 პოლანდია |
| რუსეთი 1:0 პოლონეთი | ირლანდია 0:2 პორტუგალია |
| დანია 4:0 ლიტვა | ჩრდ. ირლანდია 0:3 გერმანია |
| სლოვაკეთი 2:2 ისლანდია | იტალია 2:1 ფარერები |

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
VII ტური

ზიგენი 1:3 რეგენსბურგი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსლან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge